# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 8 ოქტომბერი 1996 №103 (328) ფასი 40 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხვალ პერუჯაში

## იტალია—საქართველო



**საქართველოს ეროვნული გუნდი ჯგუფისა და ჩემპიონატის ფავორიტთან, იტალიასთან შეხვედრით იწყებს ჩვენთვის პირველი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს. იმედია, პერუჯას გამგზავრებული „სარბიელის“ სპეციალური კორესპონდენტები გასახარ ამბავს გვამცნობენ. იმავე დღეს „უემბლიზე“ ჩვენივე ჯგუფის კიდევ ერთი ფავორიტი ინგლისი პოლონეთს უმასპინძლებს. ამ შეხვედრას დაესწრება ლონდონში მყოფი ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი ზურაბ მეძველია, რომლის პირველ რეპორტაჟსაც აქვე გთავაზობთ.**

ინგლისელთა ყურადღება ამჟამად, ბუნებრივია, პოლონეთის ნაკრებთან მატჩისკენაა მიმართული. თუმცა, არც 9 ნოემბრის საქართველო-ინგლისის შეხვედრას ივიწყებენ. „არა გვგონია, ოთხშაბათს ქართველებმა ქინქლაძის წინამძღოლობით პერუჯაში იტალია დაამარცხონ, მაგრამ ეს ჩვენთვის კარგს არაფერს მოასწავებს, გაბრაზებული ქართველები ჯავრის ამოყრას ინგლისელებზე 9 ნოემბერს შეეცდებიან“ — წერს „დეილი ტელეგრაფი“.

„საკის ვერაფერი უსწავლია ევრო-96-ის შემდეგ, მოლდოვასთან ძლივს მოიგო და თუ ოთხშაბათსაც ასე ითამაშა, ქართველებს ვერაფერს დააკლებს“ — ორშაბათის „სანი“.

პოლონეთის ნაკრები ორშაბათს დილით ჩამოფრინდა ლონდონს, დღეს საღამოს კი „უემბლიზე“ ივარჯიშა. თუმცა, აქ პოლონელებს თავი ვანებოთ და ჩვენთვის უფრო აქტუალურ თემაზე, ინგლისის ნაკრებზე ვთქვათ. ჯერჯერობით ცნობილი არ არის ის 11 კაცი, ვისაც ხვალ საღამოს მასპინძლები სასტარტო შემადგენლობაში გამოიყვანენ. ჰოდლი ამის თქმას მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე აპირებს. დანამდვილებით მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ არ ითამაშებენ რობი ფაულერი და დომინიკ მატეო. პირველს წვივის ტრავმა აწუხებს, მეორეს — მუხლისა.

მიმომხილველთა აზრით, ჰოდლი კვლავაც მისთვის ჩვეული 3-5-2 სქემით ითამაშებს, თავდასხმაში შირერისა და შერინგემის წყვილს დააყენებს. ეს, ალბათ, მართლაც ასე იქნება, რადგან ლეს ფერდინანდმა უკვე დაიწუწუნა ამის თაობაზე და ესაც განაცხადა, მე სასტარტო შემადგენლობაში მსურს გამოსვლა, მე და შირერმა „ნიუკასლში“ დავამტკიცეთ, რომ კარგად შევთამაშდითო. მიუხედავად ამისა, ვარაუდობენ, რომ ფერდინანდი, ვინც ამ სეზონის 13 მატჩში 8 გოლი გაიტანა, დიდი-დიდი, შეცვლაზე გამოვიდეს.

ძირითადში ალბათ ითამაშებს სტივ მაკმანამანი, რომელმაც მოლდოვასთან მატჩი ტრავმის გამო გამოტოვა. სიტყვამ მოლდოვა მოიტანა და, აქვე დავიმოწმებ გლენ ჰოდლის აზრს მოლდოვა-იტალიის მატჩზე, რომელსაც ინგლისელთა მწვრთნელმა ტელევიზიით უყურა: „დარწმუნებული ვიყავი, რომ იტალია იოლად მოიგებდა, მაგრამ ლამის თვალები გადმომცვივდა, როცა საკის გუნდის ფაფხურს ვუყურებდი. არ მეგონა, თუ იტალიას ძალების დიდი დაძაბვა და შტურმის მოწყობა დასჭირდებოდა 3 ქულის მოსაპოვებლად.“

იმედი ვიქონიოთ, ხვალ ქართველები სასწაულს მოახდენენ და არამარტო ჰოდლს, საკისაც თვალებს შუბლზე აუცოცებენ.

**ჩვენი კორესპონდენტისთვის გაწეული დახმარებისთვის „სარბიელი“ მადლობას უხდის რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საკონსულოს პირველ მდივანს ბატონ გია მერაბიშვილს.**

## ჯიქურაული მსოფლიოში მესამეა

პორტუგალიაში დასრულებულ ახალგაზრდა ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართველებმა ერთი მედალი მოიპოვეთ. 95 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მესამე ადგილზე გავიდა დუშელი ივერი ჯიქურაული. აღსანიშნავია, რომ ნახევარფინალს ჯიქურაული ვაზარით იგებდა, მაგრამ უპირატესობა ველარ შეინარჩუნა. ფინალში გასვლას ოთხი წამი (!) აკლდა გიორგი წმინდაშვილს (86 კგ), მაგრამ ბოლომდე ვერც მან ივარგა და მერე მესამე ადგილისთვის შეხვედრაც დათმო იაპონელ მეტოქესთან.

დაწვრილებით მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე — მომდევნო „სარბიელში“.

## ვითა «ფოსტალიონებთან»

თბილისიდან კვირა დილით გასულმა „ვითას“ კალათბურთელებმა ანკარაში გუშინ დილას ჩააღწიეს. თურქეთის დედაქალაქი ქართველებს 25-გრადუსიანი სიცხით დაგვიხვდა. „ვითა“, მასპინძელი გუნდის „ფთთ-გენჩლიკის“ ხელმძღვანელობის დახმარებით ანკარის ცენტრში, ხუთვარსკვლავიან სასტუმრო „გრანდ ოტელ ანკარაში“ დაბინავდა. ჩვენი დღევანდელი მეტოქე „ფთთ-გენჩლიკი“ თურქეთის კავშირგაბმულობის სამინისტროს გუნდია. იგი 1950 წელს დაარსდა და იქ სულ ახალგაზრდები თამაშობდნენ. „გენჩლიკის“ ქართული შესატყვისი სწორედ „ახალგაზრდობაა“. თუმცა, ფთთ არც დღეს არის ბებრების გუნდი. ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე 18 წლისაა, ხოლო ყველაზე ასაკოვანი — 25 წლისა. ყველაზე მაღალი ამერიკელი შავკანიანი ვინსლოუა. მისი სიმაღლე 220 სანტიმეტრია. ამჟამად ფთთ თურქეთის ჩემპიონატში მე-2 ადგილზეა. „ვითამ“ გუშინვე ჩაატარა პირველი ვარჯიში ანკარაში. რამდენიმე ქართველი გულშემატკივრის ჩამოსვლის შემდეგ გუნდი უფრო შეიმართა. ასე რომ, ვითელთა თქმით, ისინი დღევანდელი მატჩის მოგებას შეეცდებიან. მატჩი თბილისის დროით საღამოს 8 საათზე დაიწყება. ანკარის სპორტის სასახლე 5 ათას მაყურებელს იტევს.

**კახა დგებუაძე,** „ვითას“ პრეს-ატაშე, ანკარიდან, საგანგებოდ „სარბიელისთვის“

## „დინამო“: მინუს 5000 ფრანკი

ორი დღის წინ უეფადან თბილისის „დინამოში“ ფაქსი მოვიდა: მოსკოვში, უეფას თასის ოცდამეთორმეტედფინალის პირველ მატჩში თბილისის დინამოელთა მიერ მიღებული ხუთი ყვითელი ბარათიდან უეფამ თითო ათას შვეიცარულ ფრანკად შეაფასა და დინამოელები ხუთი ათასი ფრანკით დააჯარიმა. თბილისელებმა ჯარიმა ოქტომბრის ბოლომდე უნდა გადაიხადონ. გემახსოვრებათ, მოსკოვური მატჩის „სარბიელისეულ“ ანგარიშში მხოლოდ ოთხი გაფრთხილება იყო აღნუსხული, ისევე, როგორც რუსულ გაზეთებში. „დინამოს“ მწვრთნელის თქმით, გაფრთხილება ხომერიკსაც მიუღია, მაგრამ სად, მინდორზე თუ გასახდელში, ველარ დავაზუსტეთ.

## საით კაკო? გერმანია, შოტლანდია, ისრაელი...

„როსტსელმაშის“ ჩვენებურმა მეკარემ აკაკი დევაძემ მთავარ მწვრთნელ ანდრეევთან საერთო ენა რომ ვერ გამონახა, ეს უკვე ვიცით. რუსეთის ჩემპიონატის დამთავრებამდე ერთი თვეღა დარჩა და, ბუნებრივია, კაკო თავისუფალი აგენტი გახდება. მისით ადრეც დაინტერესებულან ევროპული კლუბები და როგორც სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვეთ, იგი კვლავაც ახსოვთ. ამჟამად როსტოვში მყოფი დევაძე ხელსაყრელი წინადადების მოლოდინშია და ერთი სული აქვს, ერთხელ და სამუდამოდ დააღწიოს თავი როსტოვულ ჯოჯოხეთს. როცა დევაძეს ტელეფონით დავუკავშირდით, რომ გაიგო, თბილისიდან ვრეკავდით, თავისი დაივიწყა და აქეთ დაგვაყარა კითხვები ჩვენი ნაკრების სამზადისსა და გამგზავრებაზე. თავის ახლანდელ მდგომარეობასა და სამომავლო გეგმებზე კი ეს გვითხრა:

— ჩემი ურთიერთობა ანდრეევთან არ შეცვლილა, ისევ უბრად ვართ. იციან, „როსტსელმაშში“ გამჩერებელი არ ვარ და ახლა ჯიბის გასქელებაზეც ფიქრობენ.

**— კონკრეტული წინადადებები თუ მიიღე?**

— ჩემით დაინტერესებულან გერმანიის, შოტლანდიის და ისრაელის კლუბები. კლუბის უფროსობა ჯერჯერობით გარკვეულს არაფერს მეუბნება, რა მიხვედრა უნდა, როცა საქმეს გაიჩარხავენ, მერე გამიმხელენ ალბათ. ჩემით დაინტერესებული გუნდები არ დამისახელეს, მხოლოდ ის შევიტყვე, რომ ისრაელის კლუბი უმაღლესი ჯგუფის ერთ-ერთი მოწინავეა. შოტლანდიელებს უკვე ესაუბრნენ, გერმანელებს ელიან. მოკლედ, ამ სამი ქვეყნიდან ერთ-ერთში ნაღდად მოვხვდები, თუ, რა თქმა უნდა, აქაურები და ისინი ფულზე შეთანხმდებიან. თბილისში ვაპირებდი წამოსვლას, მაგრამ ეს ამბები რომ გავიგე, დარჩენა ვამჯობინე, იქნებ დამადგეს საშველი და ნორმალურ გუნდში მოვხვდე.

**— ადრე ხელს იტკიებდი. თუ მოირჩინე?**

— ბოლომდე არა. ეს ხელი ადრეც მაწუხებდა, თუ გახსოვთ, ამის გამო თბილისში ცალხელაც შემარქვეს. არ არის გამორიცხული, საოპერაციო გამიხდეს, მაგრამ ეგ არაფერი, ოღონდ ჩემი საქმე მოგვარდეს...

**— საბოლოო პასუხი როდის გეცოდინება?**

— ჩემპიონატის ბოლომდე ყველაფერი გაირკვევა.

**მამუკა კვანტალიანი**

## „მანჩესტერ სიტიმ“ მწვრთნელს მიაგნო

„მანჩესტერ სიტიმ“ მწვრთნელის ძიება დაასრულა. დღეს „მანჩესტერ იუნაიტედის“ და ინგლისის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა, 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილემ, 41 წლის სტივ კოპელმა კონტრაქტს უნდა მოაწეროს ხელი. ამრიგად, ალან ბოლის ვაშვებიდან ექვსი კვირის შემდეგ „სიტის“ კვლავ ხელმძღვანელი ეყოლება.

წუხანდლამდე კოპელი „კრისტალ პალასში“ ტექნიკურ დირექტორად მუშაობდა, მაგრამ როგორც გაირკვა, სხვაგან წასასვლელად პირადი ხელშეკრულებით შებოჭილი არ არის. პირიქით, „კრისტალ პალასის“ თავმჯდომარემ რონ ნორდსმა დიდი საქმის სათავეში ჩასადგომად წააქეზა კიდეც.

**საქართველოს** ძალოსნობის ფედერაციის ყრილობას, 5 ოქტომბერს რომ გაიმართა, სამი საკითხი უნდა განეხილა: 1. 1993 წლიდან საქმიანობის ანგარიში, რომელიც ფედერაციის პრეზიდენტმა რამაზ გურგენიძემ წარმოადგინა; 2. სარევიზიო კომისიის ანგარიში; 3. არჩევნები.

ფედერაციის საქმიანობა დადებითად შეფასდა. ამ პერიოდში საქართველოს ძალოსნებმა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე, სხვა შეჯიბრებებში 6 ოქროს, 12 ვერცხლისა და 10 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ფედერაციის პრეზიდენტად კვლავ აირჩიეს რამაზ გურგენიძე.

ყრილობის შემდეგ საქართველოს ჩემპიონატიც გაჩაღდა 49 თბილისელი, საჩხერელი, ქუთაისელი, ზუგდიდელი, წყალტუბოელი, დედოფლისწყაროელი, რუსთაველი და ბათუმელი ძალოსნის მონაწილეობით.

ზუგდიდის გუნდი მთლიანად სოფელ რიყეს მკვიდრებით იყო დაკომპლექტებული. სწორედ ამ სოფლიდანაა მუხრნ გოგია, რომლისთვისაც ტრავმას რომ არ შეეშალა ხელი და ფიცარნაგზე გამოსულიყო, რიყელებს გუნდურ პირველ ადგილსაც დააკავებინებდა.

## ძალოსანთა ყრილობა ჩემპიონატით

54 კგ.: 1. მამუკა ბრეგვაძე (საჩხერე) 177,5; 2. თემურ ჩხეიძე (ზუგდიდი) 135; 3. ბესიკ უგრეხელიძე (თბილისი) 115.
59 კგ.: 1. გიორგი ნუცუბიძე (თბილისი) 205; 2. ომარ კერვალიძე (რუსთავი) 177,5; 3. გელა სიხარულიძე (ქუთაისი) 172,5.
64 კგ.: 1. კობა არავიძე (საჩხერე) 220; 2. ზურაბ ბობოხიძე (ზუგდიდი) 217,5; 3. თემურ ქომეთიანი (ქუთაისი) 205.
70 კგ.: 1. დავით პავლიაშვილი (თბილისი) 232,5; 2. მანუელ მარქარიანი (თბილისი) 225; 3. გიორგი გიორბელიძე (ქუთაისი) 225.
76 კგ.: 1. ჯიმშერ ქელიძე (ქუთაისი) 237,5; 2. გიორგი სარავა (ქუთაისი) 235; 3. გელა მახარაძე (თბილისი) 230.
83 კგ 1. გიორგი ასანიძე (საჩხერე) 330; 2. დავით ალანია (თბილისი) 220; 3. ლაშა კუდავა (ქუთაისი) 205.
91 კგ 1. ვალერი სარავა (ქუთაისი) 310; 2. გელა გოგია (ზუგდიდი) 250; 3. კობა კურტანიძე (საჩხერე) 225.
99 კგ.: 1. გიორგი კობალაძე (თბილისი) 317,5; 2. თემურ მოწონელიძე (თბილისი) 300; 3. ვახტანგ ვახტანგიშვილი (თბილისი) 130.
108 კგ.: 1. ალეკო ნოზაძე (თბილისი) 330; 2. ირაკლი კუხალეიშვილი (ზუგდიდი) 280.
მძიმე: 1. ლევან ბერაძე (წყალტუბო) 320; 2. კობა ტალახაძე (საჩხერე) 320.
გუნდური: 1. თბილისი 254 ქულა, 2. ქუთაისი 247, 3. ზუგდიდი 212.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ირაკლი ზოიძე**
21.03.1969 181 სმ, 84 კგ
დინამო, მეკარე
ნაკრებში: 10 თამაში

თავად მშვიდი, სიმშვიდეს დაცვასაც გადასდებს. ხაზზე ძლიერია, თუმცა გამორჩეული „რეაქტიულობა" არ ახასიათებს სხვა ქართველ მეკარეებთან შედარებით გამოსვლაზეც კარგად თამაშობს, მაგრამ შეტევის ჩაშლის ამ ხერხს იშვიათად მიმართავს.



**ნუგზარ ლობჟანიძე**
07.09.1971 184 სმ, 77 კგ
დინამო, მცველი
ნაკრებში: 6 თამაში

დაცვის ორივე ფლანგზე და ცენტრშიც წარმატებით შეუძლია თამაში. ის, ვისი მეურვეობაც დაეკისრება, საცოდავია, რადგან ლობჟანიძე საკმარისად უხეში, უკეთ კი, ხისტი მოთამაშეა. ხშირად უტევს ფლანგიდან და იერიშს შორეული დარტყმით აგვირგვინებს.



**კახი ცხადაძე**
07.09.1968 184 სმ, 75 კგ
აინტრახტი, მცველი
ნაკრებში: 15 თამაში

როცა „აინტრახტმა" ბრინჯაო მოიპოვა, იგი პაერის მეფედ მონათლეს. ცხადაძე ბრწყინვალედ თამაშობს თავით, თუმცა ბოლო დროს „აინტრახტთან" ერთად ერთგვარ კრიზისს განიცდის. ნაკრების კაპიტანი საქართველოს ორგზის და სსრკ ჩემპიონია.



**მურთაზ შელია**
25.03.1969 188 სმ, 87 კგ
ალანია, მცველი
ნაკრებში: 18 თამაში

წარმატებით თამაშობს მეორე სართულზე შელიაც, რომელიც „ალანიაში" ცენტრალურიდან მარცხენა მცველად აქციეს. საქართველოს ოთხგზის და რუსეთის ჩემპიონი ძლიერი შორეული დარტყმითაც გამოირჩევა, ბოლო ხანს არაერთი გადამწყვეტი თაურიც გაიტანა



**დიმიტრი კუდინოვი**
08.02.1963 180 სმ, 73 კგ
დინამო, მცველი
ნაკრებში: 19 თამაში, 1 გოლი

ჩვენი ნაკრების ყველაზე ასაკოვანი წევრი ახალგაზრდებს ტოლს არაფერში უდებს, საქართველოს ორგზის ჩემპიონისათვის, „პადკატის პროფესორად" რომაა ცნობილი, პრობლემას არ წარმოადგენს დაცვის ნებისმიერ პოზიციაზე თამაში, თუმცა, უკეთ ლიბეროობს.



**კახი გოგიჩაიშვილი**
31.10.1968 176 სმ, 69 კგ
დინამო, ნახევარმცველი
ნაკრებში: 19 თამაში, 1 გოლი

მისი სტიქია ფლანგური შეტევაა, იგი მეტოქეს სისწრაფეში ეჯიბრება და უმთავრესად ამარცხებს. მას მარჯვენა ფრთაზეც შეუძლია თამაში და მარცხენაზეც. ჩვევია სახიფათო ჩაწოდებები და მოულოდნელი გოლების გატანა. საქართველოს სამგზის ჩემპიონია.



**გიორგი ნემსაძე**
10.05.1971 176 სმ, 76 კგ
ტრაბზონი, ნახევარმცველი
ნაკრებში: 19 თამაში

იყო დრო, ნემსაძეს მარჯვენა მცველად ათამაშებდნენ. თუმცა, ყველასათვის ცხადია, რომ მას მაქსიმალური სარგებლობის მოტანა საყრნობისას შეუძლია. საქართველოს ორგზის ჩემპიონი ბურთის ართმევაშიც ისეთივე ძლიერია, როგორც პასების განაწილებისას.



**ლევან კობიაშვილი**
10.07.1977 182 სმ, 74 კგ
დინამო, მცველი
ნაკრებში: 1 თამაში

მარცხენა ფრთის ბატონ-პატრონს პოპულარობა მოსკოვის ამასწინდელმა მატჩმა მოუტანა. კობიაშვილი ისეთივე მწვავეა შეტევაში, როგორი საიმედოც დაცვაში. თუმცა, არცთუ იშვიათად „განსასჯელთა სკამზეა". ეს კი უმეტესად საერთაშორისო მატჩებში ხდება.



**თემურ ქეცბაია**
18.03.1968 177 სმ, 71 კგ
აეკ, ნახევარმცველი
ნაკრებში: 13 თამაში, 7 გოლი

შესაშური ტექნიკისა და სრულყოფილი საფეხბურთო აზროვნების წყალობით იგი ნაკრების ერთ-ერთი ლიდერია. წარმატებით შეუძლია თამაში მარცხენა ფრთაზეც და ცენტრშიც. საბერძნეთის თასის მფლობელი ამ ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა.



**გიორგი ქინქლაძე**
06.07.1973 173 სმ, 68 კგ
სიტი, ნახევარმცველი
ნაკრებში: 19 თამაში, 3 გოლი

შეტევათა წარმმართველისაგან ყოველთვის ელიან უჩვეულო გადაწყვეტილებებსა და ფინტების კასკადს, თუმცა ნაკრების ბოლოდროინდელ მატჩებში მან არაერთხელ გაგვიცრუა იმედი, „სიტის" ნებიერისთვის ამ მატჩს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.



**გოჩა გოგრიჭიანი**
12.08.1964 175 სმ, 73 კგ
ჟემჩუჟინა, თავდამსხმელი
ნაკრებში: 6 თამაში, 2 გოლი

ნაკრებში მას არც ისე ხშირად იწვევენ, კლუბებში კი ყოველთვის საუკეთესო გოლიადორია. განსაკუთრებით სახიფათოა საჯარიმოში. აქვს სწრაფი მანევრის უნარიც. გოგრიჭიანი ფლობს თანაგუნდელთათვის საგოლე სიტუაციათა შექმნის ნიჭსაც.



**მამუკა მაჭავარიანი**
27.11.197 180 სმ, 74 კგ
დინამო, მცველი
ნაკრებში: 2 თამაში

მან ლიბეროობით დაიწყო და მას შემდეგ დაცვის მარცხენა ფლანგზე და პერსონალურადაც უთამაშია. საბოლოოდ, მაინც თავის ძველ პოზიციას დაუბრუნდა. გამოირჩევა სტაბილურობით, კარგად აზღვევს თანაგუნდელებს. საქართველოს ორგზის ჩემპიონია.



**რეზო არველაძე**
14.09.1969 182 სმ, 77 კგ
მეხელენი, ნახევარმცველი
ნაკრებში: 8 თამაში, 1 გოლი

მისი საუკეთესო მატჩები ბევრს აღარც ახსოვს. „ჰამბურგში" წარმატებული სეზონის შემდეგ „მეხელენის" ძირითადშიც უპრობლემოდ ჩაეწერა. საქართველოს ორგზის ჩემპიონს ნახევარდაცვის ცენტრშიც შეუძლია თამაში და ორივე ფრთაზეც.



**მიხეილ ყაველაშვილი**
22.07.1971 181 ს, 75 კგ
სიტი, თავდამსხმელი
ნაკრებში: 15 თამაში, 2 გოლი

ყაველამ ფორვარდობიდან ფორვარდობამდე მარცხენა ფლანგზეც მოსინჯა ძალა, მაგრამ თითქმის უშედეგოდ. ბურთს კარგად ფლობს და გოლებიც არცთუ იშვიათად გააქვს. მან „ალანიის" რუსეთის ჩემპიონად გახდომაში ლომის წილი დაიდო.

# იტალია — საქართველო

მოლდოვასთან ბოლო მატჩის გათვალისწინებით იმ 14 მოთამაშის სია, რომლებიც შესაძლოა მოედანზე ვიხილოთ, სწორედ ასე გამოიყურება. ჩვენი [illegible]



**ფრანჩესკო ტოლდო**
02.12.1971 196 სმ, 90 კგ
ფიორენტინა, მეკარე
ნაკრებში: 3 თამაში

სერია A-ს ყველაზე მაღალ მოთამაშეს სისხარტე არ აკლია. მიუხედავად სიმაღლისა სწრაფად რეაგირებს დაბალ ბურთებზე. როგორც ძლიერ პიროვნებას, თანაგუნდელებიც და მეტოქეებიც პატივს სცემენ. 1996 წლის ევროპის ჩემპიონია ახალგაზრდათა შორის.



**. ალესანდრო ნესტა**
19.03.1976 187 სმ, 79 კგ
ლაციო, მცველი
ნაკრებში: 1 თამაში

ღონის, ხასიათის და უნარის წყალობით საიმედო, თანამედროვე სტილის მცველადაა ცნობილი. „ლაციოს" სკოლის აღზრდილია. სერია A-ში დებიუტი 1994 წლის მარტში ჰქონდა. 1996 წლის ევროპის ჩემპიონია ახალგაზრდათა შორის.



**პაოლო მალდინი**
26.06.1968 185 სმ, 77 კგ
მილანი, მცველი
ნაკრებში: 72 თამაში, 3 გოლი

ახლავე შეიძლება ითქვას, რომ იტალიის ყველა დროის უძლიერეს მარცხენა მცველთა შორისაა. ქვეყნის ოთხგზის ჩემპიონია, სამჯერ ფლობდა ჩემპიონთა თასს, ორჯერ სუპერთასს და სამჯერ იტალიის სუპერთასს. „მილანის" გარდა არსად უთამაშია.



**ჩირო ფერარა**
11.02.1967 180 სმ, 75 კგ
იუვენტუსი, მცველი
ნაკრებში: 31 თამაში

„ნაპოლიში" მარადონასთან ერთად ორჯერ გახდა იტალიის ჩემპიონი, ერთხელ უეფას თასს ფლობდა. „იუვენტუსში" გადასვლის შემდეგაც მიაღწია სკუდეტოს. დი ნაპოლისთან, კარნევალესთან და ძოლასთან ერთად დიეგოს მეგობრობით იყო ცნობილი.



**ალესანდრო კოსტაკურტა**
24.04.1966 180 სმ, 76 კგ
მილანი, მცველი
ნაკრებში: 4 თამაში, 2 გოლი

საუცხოოდ თამაშობს ხელოვნური ოფსაიდის შექმნისას. აქვს საამისო მომენტის შერჩევის ჩინებული ალღო. ზონურ დაცვაში „მილანში", ბარეზის გვერდით გაიწაფა და ამ კლუბის ოქროს ხანაში დაცვის უცვლელი წევრი იყო. უამრავი ტიტულის მფლობელია.



**ამადეო კარბონი**
06.04.1965 179 სმ, 77 კგ
რომა, მცველი
ნაკრებში: 15 თამაში

მარცხენა ფრთაზე მცველადაც ვარგა და ნახევარმცველადაც. გამოირჩევა გონივრული პასებით. ორჯერ იყო იტალიის თასის მფლობელი, ერთხელ „სამპდორიის", მეორედ „რომას" შემადგენლობაში. „სამპდორიასთან" ერთად ფლობდა თასების თასს.



**ანტონიო კონტე**
31.07.1969 178 სმ, 73 კგ
იუვენტუსი, ნახევარმცველი
ნაკრებში: 7 თამაში, 1 გოლი

„იუვენტუსში" „ლეჩედან" გადავიდა. დაჯილდოებულია ყველა იმ თვისებით, არიგო საკი რომ აფასებს და ამიტომ ნაკრებში ადგილი ლამის დაჯავშნული აქვს. „იუვეს" მწვრთნელის მარჩელო ლიპის აზრით, კონტე „ბებერი ქალბატონის" მოტორია.



**რობერტო დი მატეო**
29.05.1970 180 სმ, 76 კგ
ჩელსი, ნახევარმცველი
ნაკრებში: 16 თამაში

შვეიცარიის „არაუში" რომ გამოდიოდა, ლიბერო იყო. „არაუსთან" ერთად ქვეყნის ჩემპიონიც გახდა. „ლაციოში" გადაბარგების შემდეგ ცენტრალური ნახევარმცველია. კარგად ურტყამს შორიდან, ძლიერია მოედნის ხედვაში.



**პიერლუიჯი კაზირაგი**
04.03.1969 182 სმ, 78 კგ
ლაციო, თავდამსხმელი
ნაკრებში: 34 თამაში, 11 გოლი

„იუვენტუსის" შემადგენლობაში უეფას თასის ორგზის მფლობელი ძველი ყაიდის ცენტრფორვარდთა ტიპიური წარმომადგენელია. ფიზიკურად ძლიერია, თამაშის დროს კონცენტრირებული. თანაგუნდელებმა იციან, რომ მისთვის ბურთის გადაწოდება საიმედოა.



**ენრიკო კიეზა**
29.12.1970 175 სმ, 70 კგ
პარმა, თავდამსხმელი
ნაკრებში: 4 თამაში, 1 გოლი

ცნობილია, როგორც მეტად ტექნიკური მოთამაშე, ყველაფერში მიზანმიმართულია. თავდამსხმელის ამპლუის გარდა მარცხენა ნახევარმცველადაც აქვს ნათამაშები „სამპდორიაში". ორჯერ იყო იტალიის თასის, ერთხელ კი თასების თასის მფლობელი.



**ფაბრიციო რავანელი**
11.12.1968 188 სმ, 84 კგ
მიდლსბრო, თავდამსხმელი
ნაკრებში: 12 თამაში, 7 გოლი

თავდაუზოგავი და უშრეტი ენერგიის მქონე ღონიერი თავდამსხმელია. გუნდის დასახმარებლად ნახევარდაცვაშიც იწევს. მისი მორგება სხვადასხვა ტაქტიკურ სქემაზეა შესაძლებელი. „იუვენტუსის" შემადგენლობაში ფლობდა სკუდეტოს და ევროპის ჩემპიონთა თასს.



**დინო ბაჯო**
24.07.1971 188 სმ, 84 კგ
პარმა, ნახევარმცველი
ნაკრებში: 31 თამაში, 7 გოლი

თავდამოდებული მჭიდრო მეურვეობის შემდეგ სწრაფ კონტრშეტევაში ერთვება. ტექნიკურია და შეტევაში აკრობატულ ილეთებს ახერხებს. ფლობს ძლიერ შორეულ დარტყმებს. ორჯერ ფლობდა უეფას თასს. 1992 წლის ევროპის ჩემპიონია ახალგაზრდათა შორის.



**ანჯელო დი ლივიო**
26.07.1966 173 სმ, 73 კგ
იუვენტუსი, ნახევარმცველი
ნაკრებში: 8 თამაში

იმითაა ცნობილი, რომ მთელი მარჯვენა ფრთის გაკონტროლება შეუძლია. სათამაშო დისციპლინის თვალსაზრისით სანიმუშოა. შეუძლია კარგად ჩაკიდება. გასულ სეზონში „იუვენტუსთან" ერთად მოიპოვა ჩემპიონთა თასი.



**ჯანფრანკო ძოლა**
05.07.1966 168 სმ, 67 კგ
პარმა, თავდამსხმელი
ნაკრებში: 24 თამაში, 6 გოლი

გასაოცარი ნიჭისა და ტექნიკის პატრონია. მისი უვნებელყოფა შეუძლებელია, რადგან მისი გადაწყვეტილებანი წინასწარ ამოუცნობია. ხშირად გააქვს გოლი. ფლობდა იტალიის სუპერთასს. „პარმაში" გადასვლის შემდეგ უეფას თასს და სუპერთასს დაეუფლა.

# იტალიელთა ჯაფა კიშინიოვში

**მოლდოვა 1:3 იტალია**

**მოლდოვა:** რომანენკო, სეკუ ტესტიმიცა-ნუ, ტოლოჟონიკოვი, კულიბაბა, გაიდამშუკი, კურტიანუ (მიტერევი 52), ეპურეანუ, შიშკინი, რებეჟა (როგაჩოვი 74), ჩესლენკო

**იტალია:** ტოლდო, ნესტა, მალდინი, კოსტაკურტა, ფერარა, კარბონი, კონტე, დი მატეო, კაზირაგი (ძოლა 69), კიეზა (დი ლივიო 46), რავანელი

**გოლი:** რავანელი (8), კურტიანუ (11), კაზირაგი (68), რავანელი (86 პ)

**გაფრთხილება:** ტესტიმიცანუ, ტოლდო, რავანელი, ნესტა

**მსაჯი:** გრაბერი (ავსტრია)

პარასკევს პერუჯას გამგზავრებული საქართველოს ეროვნული გუნდის წევრები, გუშინწინ, შაბათს, იქაური დროით საღამოს რვა საათიდან, საათნახევრის მანძილზე ტელევიზორს იყვნენ მიჯაჭვულნი. უყურებდნენ ჩვენი ბიჭები კიშინიოვის ცენტრალურ სტადიონზე გამართულ ბრძოლას. დიახ, როგორც მოსალოდნელი იყო ტიტულოვანმა და მძლეთამძლე „სკუადრა აძურამ“ უსახელო მოლდოვას მოუგო, მაგრამ ამას ჯაბანთა ძლევა ვერ დაერქმევა. აქედან მოლდოველ ფეხბურთელთა გულებში როგორ ჩავიხედოთ, არადა გვგონია, რომ იონ კარასის ბიჭები თავზე ნაცარს სულაც არ იყრიან და ქომაგებს თვალს უსწორებენ. იტალიელებს მათ დასამარცხებლად გვარიანი გარჯა მოუხდათ. თანამედროვე ფეხბურთი სხვაა, თავის მოსაწონებლად ქუსლით კენწვლის დრო წარსულს ჩაბარდა და მაინც, ვინძლო რაიმეს ნიშნავდეს, რომ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონთა სამი გოლიდან კომბინაციის შედეგი ერთი იყო, ორი კი ჯარიმით და პენალტით გავიდა.

აი ასე, ოფლში საკმაოდ გახვითქულნი დაუბრუნდნენ იტალიელები ჩექმა სამშობლოს, სადაც ხვალის მეტოქე ქართველები ოთხი დღეა „სანგრებს თხრიან“.

კიშინიოვში თამაში წუთიერი დუმილით დაიწყო. სტუმართა თეთრ მაისურებს შავი სამკლაურები დამატებოდა. ასე მიაგეს პატივი იტალიელი, ომამდელი ვარსკვლავის სილვიო პიოლას ხსოვნას.

მერე კი ბრძოლა გაჩაღდა. ტიფოზებისგან შერისხულ, მაგრამ მაინც ნაკრების მწვრთნელ არიგო საკის ახალი ექსპერიმენტი ჰქონია ჩაფიქრებული. მოედანზე არ იყო ჯანფრანკო ძოლა, ეგრეთწოდებული ცხრანახევარი ნომერი, ჩვენებურად უკანა თავდამსხმელი ან თუ გნებავთ წინა ნახევარმცველი. მის ფუნქციას ენრიკო კიეზა ასრულებდა, რომელიც ადრე „სამპდორიაში“ და ახლა „პარმაშიც“ ცენტრფორვარდადაა ცნობილი. შუბის წვერზე პიერლუიჯი კაზირაგი გახლდათ განწესებული, შეტევის ორივე ფრთა და მიმდებარე არემარე კი ტანკივით აგრესიულ ფაბრიციო რავანელის ებარა. ამ სამეულის უკან ოთხი ნახევარმცველი მოქმედებდა: მარჯვნივ ნესტა, მარცხნივ კარბონე, შუაში კი კონტე (უფრო მარჯვნივ) და დი მატეო. მცველთა სამეული ასეთი გახლდათ: კოსტაკურტა, ფერარა, მალდინი.

რაკილა სიტყვამ იტალიელ ფეხბურთელთა „უბნები“ მოიტანა, ბარემ თემა ცოტაც განვავრცოთ. პაოლო მალდინი, მარცხენა მცველი, შეტევებში ერთობ აქტიურად ერთვებოდა, ფრიად მობილური იყო და ამიტომ მის წინა კაცს, ამადეო კარბონის თავდასხმის მისახმარებლად დრო და საშუალება კარგად ჰქონდა. მარჯვნიდან ნესტაც მთელი ფრთის ათვისებას ლამობდა, მაგრამ აქ ერთი ფრიად საინტერესო რამ გამოიკვეთა. მასპინძელთა განლაგებიდან და შეტევათა ძირითადი მიმართულებიდან გამომდინარე ჩირო ფერარას და ალექსანდრო კოსტაკურტას შედარებით მარცხნივ გადაადგილება და პოზიციათა იქ გამაგრება მოუხდათ. ამან, დაცვის მარჯვენა ფრთაზე (როცა ალესანდრო ნესტა წინ მიდიოდა) ცარიელი სივრცე შექმნა, რითაც მოლდოველებმა გადაწყვიტეს სარგებლობა და იქ თავიანთი ფეხბურთელის შევარდნით, კონტრშეტევების განვითარებას მიჰყვეს ხელი. არა, მასპინძელთა ერთადერთი გოლი ამ ტიპის კომბინაციას არ მოჰყოლია, მაგრამ ჯერ ერთი რამდენჯერმე საფრთხე თუ საფრთხისმაგვარი შექმნა, მეორეც, იტალიელთათვის სასურველ თამაშის რიტმს არღვევდა და მათ თავსატეხს უჩენდა. ამიტომაც იყო, საკიმ შესვენებიდან მოედანზე გაბრუნებულ გუნდს მოთამაშე რომ შეუცვალა. ენრიკო კიეზას ნაცვლად თამაშში ანჯელო დი ლივიო ჩაერთო. დი ლივიომ მარჯვენა ნახევარმცველის ადგილი დაიკავა, ნესტამ კი უკან, კლასიკური მარჯვენა მცველის პოზიციისკენ დაიხია. ამით საკიმ ზემოხსენებული ცარიელი სივრცე შეავსო, მაგრამ ასეთი გადაადგილების გამო, წესითა და რიგით, სიცარიელე ახლა ფორვარდთა დუეტის უკან უნდა დარჩენილიყო. ეს პრობლემა იტალიელთა მწვრთნელმა პრესინგით გადაჭრა. მთელ მოედანზე ბურთისთვის უშელავათო ბრძოლასა და მეტოქის წელში გადატეხვას ნახევარმცველთა რიგი და ორი თავდამსხმელი ერთმანეთისთვის უნდა დაეხლოვებინა, თანაც მოვლენათა ცენტრს მოლდოველთა საჯარიმოსთან გადაიტანდა. პრესინგს ის გამართლებაც ჰქონდა, რომ პირველ ტაიმში მასპინძლებმა ბურთის ხელში ჩაგდება არცთუ იშვიათად დაასწრეს სტუმრებს, რაც მათ ხელს არაფრით აძლევდა.



დი ლივიო რავანელის მოლდაველთა კარში გატანილ მესამე გოლს ულოცავს

საბოლოოდ იტალიელებმა ამოცანა გადაჭრეს, თუმცა დარწმუნდნენ, რომ საქმე მთლად ისე არ ყოფილა მე-8 წუთზე რომ ეგონათ.

მე-8-ზე, მოლდოველებმა საკუთარი საჯარიმოს მისადგომებთან, მარცხენა მხარეს კაზირაგი წააქციეს. მასპინძელთა ხალხმრავალ ცოცხალ კედელს ორი იტლიელიც მიუერთდა და ალბათ რომანენკოს დაეფარა. ცაცია დარტყმებით ცნობილმა რავანელიმ ბურთი მოთამაშეთა ამ მწკრივს ჩინებულად შემოატარა და მეკარისგან მარჯვენა ზედა კუთხეში შეაგდო. გავიდა ორი წუთი და კარბონის მარჯვენა პასით, პენალტის ნიშნულს უკნიდან რავანელიმ თაური ააცილა.

დადგა მე-11 წუთი. ზემოხსენებულ ეპიზოდს მოლდოველთა პასუხი მოჰყვა და შედეგიანადაც დასრულდა. მარჯვნიდან, საჯარიმოს ხაზის სიახლოვეს გრძელი პასი კურტიანუმ მიიღო. ფერარას მასთან ორთაბრძოლის მოგება ჰქონდა განზრახული, მაგრამ ვერ ივარგა და მოლდოვას შვიდ ნომერს შემოტრიალებისა და ზუსტად დარტყმისათვის ხელ-ფეხი გაეხსნა. ბურთი ტოლდოსგან მარჯვნივ, დაბალ კუთხეში შევარდა.

უმეტესი ნაწილი ბრძოლაში კი მიმდინარეობდა, მაგრამ აღსანიშნავად ღირსი მწვავე მომენტი ტაიმის მიწურულამდე აღარ ყოფილა. ტაიმის ბოლოს კი რომანენკო შეცდა, ჩაკიდებულ ბურთს გამოასწრო, მაგრამ მისმა დამზღვევმა ტესტიმიცანუმ კუთხურზე გადააგდო. შემდეგ იყო ჯარიმა მარცხნიდან, შეჯგუფების ადგილას ჩაწოდებული (კუთხურებსაც ასე აწვდიან) მოლდოველებმა საჯარიმოდან გაიტანეს, მაგრამ ბურთი ისევ შებრუნდა და ხელსაყრელ ადგილას მდგომ კაზირაგის მიუვიდა, თუმცა ფორვარდმა შეტევა გამართულად ველარ დააგვირგვინა და მხოლოდ კუთხური მოიპოვა. აქედან ჩაკიდულს ისევ კაზირაგიმ ჰკრა თაური. ისევ უშედეგოდ.

მორიგი გოლი მეორე ნახევრის 23-ე წუთზე გავიდა. დი ლივიოს მარჯვენა პასი მეკარის ბაქანთან რავანელისა და მის მეურვეს გადასცდა, ბურთი დაეცა, ახტა და შორეულ ძელთან კაზირაგის სათაურედ მიუვიდა. მიუხედავად რომანენკოს თავგანწირვისა ტაბლოზე ანგარიში მაინც შეიცვალა.

ამ დროს მოედანზე ძოლაც გამოჩნდა. კარბონის ნაცვლად შესულმა შეცვლილის, მარცხენა ნახევარმცველის ადგილი დაიკავა. პარმელის შეყვანა საკის მატჩის ბედის მოსატრიალებლად სჭირდებოდა, მაგრამ სანამ იგი ხურდებოდა იტალიელებმა ზემოხსენებული შეაგდეს.

მასპინძლებს წინ წასვლა აღარ გაუბედიათ. ორჯერ შორიდან დარტყმა სცადეს. ერთხელ ააცილეს, მეორედ კი ტოლდომ იყოჩაღა — მარჯვენა დაბალში აილო.

მეტი ვაჟკაცობა რომანენკოს დასჭირდა. ერთ ეპიზოდში, საჯარიმოს შორიახლოს ბურთი კონტემ იხელთა და ძლიერად დაარტყა, მაგრამ მოლდოველთა მეკარემ ნახტომში სული და გული ჩააქსოვა და გააუვნებელყო. შემდეგ ეპიზოდში კაზირაგის დი მატეო შეჰყავდა პირისპირ. „ჩელსის“ ნახევარმცველს ბურთი რომ დაემორჩილებინა ვინძლო გაეტანა კიდეც. ძოლას მცველობა ერთი ხნის შემდეგ რომანენკომ ჩაშალა, ორიოდ წუთში იმავე ძოლამ ბურთს ხაზს ოდნავ გადალმა მოუსწრო და ამიტომაც არბიტრმა, რომელიც ლამის თავზე ადგა, მისი პასით რავანელის შეცდებული არ ჩათვალა.

მესამე გოლი მოლდოვას კარში მაინც გავიდა. საქმე ასე იყო: რავანელიმ მარჯვნიდან ჩააწოდა, კაზირაგის თაურს რომანენკო ჩინებულად დაუხვდა, მაგრამ ბურთი ისევ ფორვარდს დაუბრუნდა და იგი წააქციეს. ყოველ შემთხვევაში ასე განსაჯა მსაჯმა და პენალტი დანიშნა. რავანელის დარტყმა შუაში, ხარიხას ოდნავ ქვეშ შევარდა.

— კმაყოფილი ვარ რომ მოვიგეთ, მაგრამ ჩემს გუნდს ჯერ ბევრი მუშაობა მართებს — თქვა მატის შემდეგ არიგო საკიმ.

— საკიმ მოიგო, მაგრამ ვფიქრობ უფრო რთული გამოცდა ოთხშაბათს, ქართველების წინააღმდეგ შეხვედრაში გველის, ასე რომ დავიცადოთ და მერე განვსაჯოთ — თქვა იტალიის საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტმა ლუჩანო ნიცოლამ, რომელიც როგორც ჩანს დეკემბერში ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გახდება.

ასეთი სიტყვის თქმა იმიტომ დასჭირდა, რომ იტალიურ პრესას, მოლდოვასთან თამაშის შემდეგ, საკის ლანძღვა-გინების ახალმა ტალღამ გადაუარა.

„იგივე საკი, იგივე არაფერი“ — წერდა „გაძეტა დელო სპორტი“ სტატიაში სათაურით „არაფრით სავსე სამი გოლი“.

„მუდმივად თავს ვიტყუებთ, როცა ვამბობთ, რომ კლდესავით მაგარ საძირკველზე ვდგავართ. ეს დალოცვილი საძირკველი არა და არ ჩანს“ — ამბობს გაზეთი.

„კორიერე დელო სპორტი“ მოვლენებს სხვაგვარად აღიქვამს. მისი აზრით „სკუადრა აძურას“ პრობლემები მწვრთნელისაგან დამოუკიდებელია, მაგრამ არც საკის გაკენწვლას ივიწყებს და დასძენს, რომ იგი ცხადია ბევრს ცდილობს, რომ ისედაც რთული მდგომარეობა მეტად გართულდეს.

— დადებითი შედეგის გარდა კარგი ის იყო, რომ 3:1-ის მერეც გუნდი გოლის გასატანად იბრძოდა — თქვა თავად საკიმ — მაგრამ 90 წუთიდან 60 ცუდად ვითამაშეთ და საშინლად ვიმუშავეთ. მეც დავუშვი შეცდომა, რისთვისაც ქომაგებს ბოდიშს ვუხდი. ჩვენ ნაბიჯი უკან გადავდგით.

**ილია ბაბუნაშვილი**

**მეორე ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| იტალია | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| პოლონეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| საქართველო | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| მოლდოვა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | 0 |

FRANCE 98

## შესარჩევი ტურნირი

### III ჯგუფი

**ფინეთი 2:3 შვეიცარია**

**ფინეთი:** ნიემი, რისანენი, ჰუტამაკი, ჰირილაინენი, ლინდსბერგი (კოლკა 36), სუმიალა (ჰიპია 81), სუომინენი, გრონლუნდი, მიირი, ვანჰალა

**შვეიცარია:** პასკოლო, ჰაასი, უოქერი, ჰენჩოცი, ვეგა, იაკინი, ფოგელი (ვიკი 46), ლომბარდო, კუნცი, სფორცა, შაპუიზა (ბონვინი 86)

**გოლი:** ლამბარდო (14), სფორცა (34), სუმიალა (41 პ), იაკინი (51), კოლკა (75)

ზოგადად თამაში თვალსასეირო არ იყო, უმეტეს ხანს მეტოქეები სირბილში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ შიგდაშიგ ისეთი მომენტი შეიქმნებოდა, თქვენი მოწონებული. საბოლოოდ სტუმრებმა მეტი კლასის წყალობით მოიგეს და ოდნავ უსიამოვნო ბოლო 15 წუთი ჰქონდათ, როცა ფინელებმა სხვაობა ერთამდე შეამცირეს და იფიქრეს იქნებ გავათანაბროთ კიდეცო.

ანგარიში ლომბარდომ ბურთის საჯარიმოში ტრიალის შემდეგ გახსნა. 20 წუთში სფორცა მარცხნიდან შეიჭრა პირისპირ და მასპინძელთა მეკარეს ბურთი ფეხებში გაუძვრინა, თუმცა ტაიმის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე ვეგამ საკუთარ საჯარიმოში წესი დაარღვია და სუმიალამ პენალტიდან პასკოლო საპირისპირო კუთხეში გადაახტუნა. მეორე ტაიმში, მე-9 წუთზე იაკინიმ ლამაზი თაურით გაზარდა ანგარიში, ბოლოს კი კოლკამ 22 მეტრიდან 2:3 გახადა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 1 | 1 | 0 | 0 | 5:0 | 3 |
| უნგრეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| შვეიცარია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| აზერბაიჯანი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:5 | 3 |
| ფინეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | 0 |

### IV ჯგუფი

**ლატვია 0:2 შოტლანდია**

**ლატვია:** კარავაევი, ტროიკისი, ასტაფიევი, ზემლინსკი, შევლაკოვი, სტეპანოვი, ივანოვი, ბლეიდელისი, რიმკუსი (ბულდერსი 78), ბაბიჩევი, პაჰარი

**შოტლანდია:** გორამი, ბერლი, ბოიდი, კალდერვუდი, უაიტი, მაკკინლი (მაკნამარა 65), სპენსერი (დოდსი 59), მაკკოლი, ჯეკსონი, მაკალისტერი, კოლინზი

**გოლი:** კოლინზი (18), ჯეკსონი (77)

რიგაში „მონაკოს“ თავდამსხმელმა ჯონ კოლინზმა ნაკრებში თავისი პირველი გოლი გაიტანა. ჯარიმა იყო. მას მაკკოლმა ბურთი დაუგორა, იგიც მობრუნდა, იარა და ზუსტად დაარტყა. 77-ე წუთზე კი „ჰიბერნიანის“ ბომბარდირმა დარენ ჯეკსონმა მეორე შეაგდო. მისი მარჯვენა ფეხით გატანილიც კარიერაში პირველი გახლდათ.

**ესტონეთი 1:0 ბელარუსი**

**ესტონეთი:** პუმი, ლემსალუ, უ. როობა, ხოხლოვ-სიმსონი, ზელინსკი, ალონენი, მ. როობა (კალასტე 58), კრისტალი (არბეიტერი 90), რეიმი, ოპერი (კირსი 26)

**ბელარუსი:** შანტალოსოვი, გუნენკო, ოსტროვსკი, შტანიუკი, ხაცკევიჩი, ვერგეიჩიკი (ბარანოვი 43, ჩერნიავსკი 77), კულჩი, მალეევი, ბელკევიჩი, მაკოვსკი, კაჭურო

**გოლი:** ხოხლოვ-სიმსონი (52)

26-ე წუთზე ესტონელებს მთავარი ფორვარდი ანდრეს ოპერი დაუშავდათ — ეჭვობენ ფეხი მოიტეხაო. მიუხედავად ამისა, მასპინძლებს ეყოთ მოთმინება და ძალისხმევა ძლიერი მეტოქის დასაძლევად. 52-ზე სერგეი ხოხლოვ-სიმსონმა თაურით შეხვედრის ერთადერთი გოლი გაიტანა. პირველ ტაიმში ბელორუსებმა ჩინებული მომენტი გაუშვეს ხელიდან.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:2 | 6 |
| შოტლანდია | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| ესტონეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| ბელარუსი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:6 | 3 |
| ავსტრია | 2 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ლატვია | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

### V ჯგუფი

**ფარერები 1:8 იუგოსლავია**

ტოფტირში „ასტონ ვილას“ თავდამსხმელმა სავო მილოშევიჩმა მე-7, 36-ე და 45-ე წუთებზე სამჯერ შეაგდო. ორი გაიტანა სლავიშა იოკანოვიჩმა, თითო პრედრაგ მიატოვიჩმა, ვლადიმირ იუგოვიჩმა და დრაგან სტოიკოვიჩმა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუგოსლავია | 3 | 3 | 0 | 0 | 17:2 | 9 |
| სლოვაკეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 8:1 | 6 |
| ჩეხეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 6:0 | 3 |
| ფარერები | 4 | 0 | 0 | 4 | 5:19 | 0 |
| მალტა | 3 | 0 | 0 | 3 | 0:18 | 0 |

### VII ჯგუფი

**უელსი 1:3 ჰოლანდია**

**უელსი:** საუთჰოლი, ბოუენი, პემბრიჯი (ლეგი 65), ბრაუნინგი (ჯენკისი 83), მელვილი, საიმონსი, ჰორნი, რობინსონი, სონდერსი, ჰიუზი

**ჰოლანდია:** ვან დერ საარი, ვიერკლაუ (ვან ჰუიდონკი 70), ვალქსი, ფ. დე ბური, ბოგარდი, იონკი, ვინტერი, კრუიფი (მაკააი 46), რ. დე ბური (ვან ბრონკჰარსტი 89), ზეედორფი, კოკუ

**გოლი:** სონდერსი (17), ვან ჰუიდონკი (72, 75), რ. დე ბური (79)

უცნაურ ფორმაში (ლურჯი მაისური, ნარინჯისფერი შორტი) გამოწყობილმა ჰოლანდიამ მართალია პირველი ტაიმი წააგო და მეორეშიც, სანამ თამაშის დამთავრებამდე თვრამეტი წუთი არ დარჩა უკან იყო, მაგრამ მერე სამი შეაგდო და შესანიშნავი გამარჯვებაც იზეიმა. მთავარი კი ის იყო, რომ გუს ჰიდინკმა 70-ე წუთზე მოედანზე გლაზგოს „სელტიკის“ თავდამსხმელი, მორიგი ჰოლანდიელი ზანგი პიერ ვან ჰუიდონკი შეუშვა. ეს იყო და ეს, ზანგმა თამაშში გარდატეხა შეიტანა და ორი შეაგდო. არადა მანამდე უელსს ორიდან ორი ჰქონდა მოგებული.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უელსი | 3 | 2 | 0 | 1 | 12:3 | 6 |
| ჰოლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| ბელგია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| თურქეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| სან მარინო | 2 | 0 | 0 | 2 | 0:11 | 0 |

### VIII ჯგუფი

**ლიტვა 2:0 ისლანდია**

**გოლი:** იანკაუსკასი (22 პ.), შლეკისი (73)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაკედონია | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| ირლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 5:0 | 3 |
| რუმინეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ლიტვა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ისლანდია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| ლიხტენშტაინი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:8 | 0 |

**უკრაინა 2:1 პორტუგალია**

**უკრაინა:** სუსლოვი, დმიტრულინი, სკრიანიკი, გოლოვკო, ვაშჩუკი, პოპოვი, მაქსიმოვი, ზუბოვი, კოსოვსკი, კრინევცოვი (ლუჟნი 69), რებროვი (გუსეინოვი 81)

**პორტუგალია:** ბაია, სეკრეტარიუ, ოლივეირა (ფოლია 16), ოსიანუ (ბენტუ 64), სოუზა, ჰელდერი, ფიგუ, პინტუ, სა პინტუ (ალვეში 64), კოშტა, სანტუში

**გოლი:** პოპოვი (5), ფიგუ (83), მაქსიმოვი (88)

ბარსელონელმა ლუიშ ფიგუმ 83-ე წუთზე ანგარიში რომ გაათანაბრა, პორტუგალიელთა თავზე თითქოს ღრუბლები გაიფანტა და ჰაერში გადარჩენილი ქულის სუნი დატრიალდა, მაგრამ შეხვედრის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე იური მაქსიმოვის მიერ გატანილმა გოლმა ღრუბლებიც უკან მოყარა და დიდი გრგვინვაც დატეხეს სტუმრებს თავს. ანგარიში კი მე-5 წუთზევე გაიხსნა, როცა სერგეი პოპოვმა ვიტორ ბაიას შეცდომით ისარგებლა და თაურით შეაგდო.

**ჩრდ. ირლანდია 1:1 სომხეთი**

**ჩრდ. ირლანდია:** ფეტისი, ნოლანი, როულენდი, ჰილი, ჰანტერი, ლომასი, გილესპი, ლენონი (მეჯილტონი 61), დაუი, გრეი, ჰიუზი

**სომხეთი:** ბერეზოვსკი, ერვანდი, ხაჩატრიანი, ოსეპიანი, ჰოვსეფიანი, ვარდანიანი, პეტროსიანი (ავეტისიანი 81), ტონოიანი (მაიფიანი 55), მხითარიანი, ადოიანი, მიქაელიანი (პეტროსიანი 70)

**გოლი:** ადოიანი (8), ლენონი (30)

ჩრდილო ირლანდიელების მწვრთნელს ბრაიან ჰამილტონს „მანჩესტიერ სიტი“ ეპატიჟებოდა, ჩვენთან გადმოდიო.

— ჯერ „სიტიდან“ ოფიციალურად არავინ შეგვხმიანებია — თქვა იქაური ფეხბურთის ასოციაციის მდივანმა-ასისტენტმა დევიდ ბოუენმა — მაგრამ თუ ისეთი დიდი კლუბი, როგორიც „მანჩესტერ სიტია“ დაგვიკავშირდება, ჩვენ უარს ვერ ვიტყვით. ბრაიანთან ჩინებული ურთიერთობა გვაქვს და მის მომავალს ვერ შევუშლით.

ჰამილტონის გუნდმა სომხეთთან ცდა კი არ დააკლო, მაგრამ კავკასიელ სტუმრებს ვერაფერი დააკლო. სომხებმა ბრიტანელებს გამართული დაცვა შეაგებეს და ქულას გამოჰკრეს ხელი. თავიდან, ადოიანის გოლით აგებდნენ კიდეც, მაგრამ დაწყებიდან ნახევარი საათის შემდეგ „ლესტერ სიტის“ ნახევარმცველმა ნილ ლენონმა ნაკრებში პირველად გაიტანა და ფრე დაასრულა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| სომხეთი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| პორტუგალია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ჩრდ. ირლანდია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| გერმანია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ალბანეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |


**გინდათ, სამ თვეში უცხო ენას დაეუფლოთ?**

ERC

მოაკითხეთ, „ელიტა — სკ“-ს თქვენ აქ შეგიძლიათ ინგლისური, გერმანული, ფრანგული, იტალიური, ესპანური, ბერძნული, თურქული, არაბული, რუსული და ქართული (უცხოელთათვის) ენების სწავლა. ჯგუფებში 5-5 სტუდენტია და მეცადინეობები ყოველდღე ტარდება, შაბათ-კვირის გარდა სტუდენტისათვის სასურველ ადგილზე და მისაღებ დროში.

გინდათ ერთ თვეში პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობა ისწავლოთ? მოაკითხეთ „ელიტა — სკ“-ს.

„ელიტა — სკ“-ში შეიძენთ ლიტერატურას, კომპაქტ-დისკებს, ვიდეო თუ აუდიო კასეტებს, რომლებიც ენის შესწავლაში დაგეხმარებიან.

მოაკითხეთ „ელიტა სკ“-ს ოფისს მეტრო დელისთან, ვაჟა-ფშაველას 44-ში, ან დარეკეთ 39-87-25

# ჯამარათი თუ უჯამაროდ?

ნაკრების ხელმძღვანელთათვის დიდი უსიამოვნება იყო ჯამარაულის გამოკლება პერუჯაში გამგზავრების წინ. ჩინებულ ფორმაში მყოფი დინამოელი ნახევარმცველის არყოფნა უდაოდ შეასუსტებს ჩვენების შეტევის პოტენციალს. ასეა თუ ისე, გოჩა ჯამარაული ნაკრებს გამოაკლდა და ამას აღარაფერი ეშველება. ახლა მთავარია, ჯამარა საბოლოოდ მოშუშდეს. „დინამოს" ხელმძღვანელობა ძალღონეს არ იშურებს საამისოდ. იმის გაფიქრებაც კი მიჭირს, ვაითუ, გოჩამ 15 ოქტომბრამდე ფეხი არ მოირჩინოს. დღევანდელი „დინამოსთვის" ჯამარაული დღეს გაცილებით მეტია, ვიდრე ეს ადრე იყო, რადგან ამ გუნდში იგი უპირობო ლიდერია და როგორც ფარაში ყოჩი, ისე გამოირჩევა. ჯამარაული ახლა ფორმის პიკზეა და თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა (ცოტაა მახმუტოვისნაირი ძვლებისმკვნეტელი?!), ადრე ეპიზოდურად მბრწყინავი, ახლა კი დაღვინებული ჯამარაული უმრავლეს შემთხვევაში საუცხოო თამაშისთვისაა „განწირული". „ალანიაში" რომ იყო, იქაც ვნახე და დავრწმუნდი, რომ მალე წაართვა თამაშის სადავეები კასუმოვსა და თედეევს და გუნდთან მისი ვერშეწყობის მიზეზი ესაც იყო — გაზაევმაც, ალბათ, აღარ ინდომა ამხელა რისკზე წასვლა და უკვე გაჩაღებულ სეზონში გუნდის ჯამარაულზე „გადაწყობას" ისევ უიმისოდ და ნაცადი სქემით თამაში არჩია. ეჭვი არ მეპარება, გაზაევმა კარგად იცის ჯამარაულის ფასი და ახლა რომ სეზონისწინა მზადების დრო იყოს, არაერთ ექსპერიმენტს ჩაატარებდა „ალანიას" ჯამარაულზე გადასაწყობად. გაზაევს რომ ფეხბურთი ესმის, ვფიქრობ, საკამათო არავისთვის უნდა იყოს, თუნდაც „ალანიას" ევროპულ მარცხთა გათვალისწინებით. მოსკოვში ყოფნისას ნაცნობმა ჟურნალისტებმა ისიც მითხრეს, „ტორპედოს" გარდა ჯამარაულით რუსეთის რამდენიმე გუნდი დაინტერესდა და მათ შორის „ალანიაცო".

მოვრჩეთ ამაზე ბჭობა-ვარაუდს ისევ მწარე სინამდვილეს — ტრავმას დავუბრუნდეთ. ეს ორი დღეა, მისი დამშავებელის მახმუტოვის მისამართით იმდენი გინება მოვისმინე... დიღმის ბაზაზე მართლაც „აქტუალურია" ეს გვარი, მე კი საათნახევარი ჯამარაულის ვარჯიშს მივჩერებოდი და გულმოკლული იმას ვფიქრობდი, რა მწარედ აგვიხდა ის ქართული სიმღერა, ეს ბიჭი კარგად თამაშობს და ამან რომ ფეხი იტკინოს...



მატჩის არბიტრს გერმანელ ჰელმუტ კრუგს, თამაშის დამთავრებიდან ერთი საათის შემდეგ გავესაუბრე.

**— ბატონო ჰელმუტ, მახმუტოვმა რომ ჯამარაული დაამავა და ყვითელი ბარათი უჩვენეთ, ნუთუ იგი წითელს უფრო არ იმსახურებდა?**

— ამ კითხვას უკომენტაროდ დავტოვებ. რასაც იმსახურებდა, ის ვუჩვენე...

**— გოჩა, ვიცი, არ გესიამოვნება, მაგრამ, მოდი, მაინც გაიხსენე მოსკოვის „ტორპედოსთან" მატჩის 55-ე წუთი, როცა მახმუტოვი შენსკენ გამოემართა...**

— იაშვილმა ორთაბრძოლა მოუგო მახმუტოვსა და კიდევ ერთ მცველს და ბურთი ჩემსკენ გადმოაგდო. ბრძოლას დალარაჯებული ვუყურებდი და ბურთის მისაღებად ვიყავი მზად. მივილე თუ არა, მივხვდი, რომ მახმუტოვი ფეხის მოსაგლეჯად წამოვიდა, საამისოდ იგი იაშვილთან ორთაბრძოლის წაგებისთანავე განეწყო. ფეხები დასარტყმელად რომ წამოიღო, ველარ მოვასწარი, ვერ ავიცილე და მარცხენა ფეხში საშინელი ტკივილი ვიგრძენი. მახმუტოვი მსაჯის ბარათსაც არ აუღელვებია, იცოდა, რასაც აკეთებდა, თავი ჩაღუნა და უბოდიშოდ გამეცალა, საჯარიმოსკენ გაიქცა...

**— ღმერთმა ის მაინც დასაჯა, არავინ რომ არ მიჰკარებია ისე, ორჯერ წაიქცა და შეცვლა ითხოვა. თამაშის შემდეგ მისი მტირალი სახე მრავალმა თბილისელმა იხილა. იმ ეპიზოდში თავადაც ხომ არ დაშავდა?**

— არა, რა დააშავებდა, ხომ ვთქვი, იცოდა, რასაც აკეთებდა-მეთქი, ეტყობა, მერე იტკინა რამე.

**— პირველ ტაიმშიც რამდენიმე წუთი ვერ ითამაშე, ფეხს გიყინავდნენ. მაშინაც იმან გატკინა?**

— არა, მაშინ ლეონჩენკო იყო, ბურთი დასარტყმელად გავისწორე და ტერფი დამაფარა. ძალიან კი მეტკინა, მაგრამ თამაშის გაგრძელება შესაძლებლად მივიჩნიე. მახმუტოვთან შეტაკების მერე კი თამაშს ვინ ჩივის, სიარულიც კი არ შემეძლო: ტერფის ზედა ნაწილში ქაცვით მოყენებული დიდი ჭრილობა მქონდა, მოკლედ, ღია ჭრილობა იყო.

**— ეგ თითქოს მორჩენილია, მაშ, რომელი ადგილი გაწუხებს?**

— ტერფის ქვედა ნაწილში გამჭოლი ტკივილი მაქვს. რენტგენის სურათმა აჩვენა, რომ ძვლის საქმე მთლად კარგად ვერ უნდა იყოს. მაინც მზად ვიყავი ნაკრებში სათამაშოდ, მაგრამ გუნდის ექიმმა მითხრა, ამას შეიძლება დიდი გართულება მოჰყვესო და მეც დავფიქრდი, ვინ იცის, იქნებ, მართლაც სერიოზულადაა საქმე და ტკივილგამაყუჩებელი ნემსით თამაშმა მართლაც მთლად არ გააფუჭოს საქმე. ექიმმა თავისი საქმე ჩემზე უკეთ იცის.

**— ალბათ ძალიან დაგწყდათ გული...**

— რა თქმა უნდა, თანაც, ვისთან თამაშს ვტოვებ, იტალიასთან...

**— „ტორპედოსთან" მატჩს დავუბრუნდეთ. მაშინ თქვი, რომ იმდენი, რამდენიც ამ მატჩის წინ ინერვიულე, კარიერაში არ გინერვიულია, ამაზე ძლიერ მეტოქესთანაც კი. რა იყო მიზეზი?**

— გასვლაზე 1:0 გვქონდა მოგებული და რატომღაც ამეკვიატა აზრი, დავუშვათ და, იმათ გოლი გაგვიტანეს, მერე სად მივდივართ? ვიცოდი, მოსკოველებს დასაკარგი აღარაფერი ჰქონდათ, ყველა ღონეს იხმარდნენ სასურველი შედეგის მისაღწევად. ასეთ შემთხვევაში თამაში უფრო ადვილია, წააგებ, არავინ დაგძრახავს, რაკიღა შინაც დამარცხდი. ჩვენ?! ყველა ხომ იმას იყტოდა, აი, ნახეთ, მოსკოვში შემთხვევით მოიგესო, ჩვენიანიც და უცხოც. მოკლედ, არაფრით მომასვენეს უსიამოვნო აზრებმა. სულ განმეორებითი მატჩი მიტრიალებდა გონებაში, წაგების წარმოდგენაც არ მინდოდა, სულ იმაზე ვფიქრობდი, ხალხს რა თვალით შევხედოთ-მეთქი.

**— მოსკოვში თამაშის წინაც ხომ არ გაგაწვალეს ამგვარმა აზრებმა?**

— არა, იქ თავისუფლად ვიყავი, ვიცოდი, მეტოქე ცხვირს გვიბზუებდა, ფიზიკურად მაინც ვაჯობებთო. ეს იყო მათი დიდი შეცდომა, რამაც დაღუპა კიდეც საბოლოოდ „ტორპედო". ნებისმიერი მეტოქე შეუფასებლობას ძვირად დაგისვამს, თანაც ასეთ ტურნირში.

**— მატჩის წინ წვიმამ და ატალახებულმა მინდორმა ცოტათი მაინც არ შეგაშინა?**

— ცოტა არ იყოს, შევშფოთდი, მაგრამ უმნიშვნელოდ. თამაშის დროს აღარც მახსოვდა.

**— ზოგი ტორპედოელის აზრით, ჩვენ მხოლოდ შემთხვევის წყალობით მოვიგეთ...**

— ჩვენ მათზე აშკარად ძლიერები ვიყავით და უეჭველად უნდა მოგვეგო მათთვის. ამას, მოსკოვში თამაში რომ დამთავრდა, მაშინ მივხვდი.

**— ობიექტურად, ამ შემადგენლობით სამი ეტაპის გავლა დიდი წარმატებაა. თუ ელოდი ამას?**

— ველოდი, ნამდვილად ველოდი.

**— ასე დარწმუნებით რატომ?**

— არც კი ვიცი, როგორ აგიხსნა, მაგრამ ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა.

**— „ტორპედოსთან" თამაშების მოგონებას შევყევით და ახლა ის ვთქვათ, დღეს ვარჯიშის დამთავრებიდან ოციოდე წუთის შემდეგ როგორ გაქვს ფეხი?**

— ვარჯიშისას იმდენად არა, მაგრამ ახლა ცოტათი მტკივა, არადა, მთავარი სწორედ ისაა, ვარჯიშის მერე არ წამომტკივდეს.

**— „ტორპედო" შენით სერიოზულად დაინტერესდა: ხომ არ შეგეხმიანნენ გადასვლის თაობაზე?**

— როგორ არა, უკვე შემეხმიანნენ.

**— „ტორპედო" მომავალ სეზონში ერთობ გაძლიერებას აპირებს და შენც ამიტომ უნდიხართ. გადახვალ მოსკოვში?**

— თუ კარგ პირობებს შემომთავაზებენ, რატომაც არ გადავალ. თუმცა, კარგი პირობების გარდა იმაშიც უნდა ვიყო დარწმუნებული, რომ გუნდი უეჭველად დიდი მიზნებისთვის იბრძოლებს.

**— დინამოელთა უმრავლესობას უეფას თასის მეთექვსმეტედფინალში მოსკოვის „სპარტაკი" უნდოდა მეტოქედ. შენ ვინ გსურდა?**

— მეც „სპარტაკი" მინდოდა.

**— ნუთუ ასე იოლად გგონია ორი რუსული გუნდის ზედიზედ ძლევა?**

— სულაც არ მგონია, მაგრამ ჯერ ერთი, „ტორპედოსთან" მოგებით იმხელა სიხარული განვაცდევინეთ ჩვენს გულშემატკივარს, რომ არასოდეს დამავიწყდება — მოსკოვში ქართველები სიხარულით ლამის ტიროდნენ, თბილისშიც არანაკლებ გაუხარდათ, ჰოდა, ვიცოდი, „სპარტაკთან" მოგება ჩვენს გულშემატკივარს ყველაზე მეტად გაახარებდა. მეორე მიზეზი კი ისაა, რომ „სპარტაკისა" ბევრი რამ ვიცით, ჩვენთვისაც და გუნდის ხელმძღვანელებისთვისაც საკმაოდ ნაცნობი გუნდია, დანარჩენი მეტოქეები კი უცნობნი იყვნენ.

**— „ბოავიშტაზე" რას იტყვით?**

— ყველაზე მეტად „ბოავიშტა" არ მინდოდა.

**— რატომ?**

— მეც არ ვიცი, მაგრამ, ნეტავ, პორტუგალიური გუნდი არ შეგვახვედრა-მეთქი, ვნატრობდი და მაინც ასე მოხდა. რაც უნდა იყოს, ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობენ, თანაც მათზე, ფაქტიურად, წარმოდგენაც არა გვაქვს. თუმცა, ახლა ამას რაღა მნიშვნელობა აქვს, ყველა მეტოქეს, ვინც არ უნდა იყოს, მოსაგებად უნდა ეთამაშო. მერე რა, რომ პორტუგალიელები შეგვხვდნენ, მათთან მოგებაც ხომ შეიძლება?

**— შენი აზრით, პირველ მატჩს რომ შინ ვთამაშობთ, კარგია თუ პირიქით სჯობდა?**

— ვფიქრობ ასე სჯობს.

**— ჩემი დაკვირვებით, ასეთ კარგ ფორმაში შენ ჯერ არ ყოფილხარ, მეთანხმები?**

— მეც ასე მგონია.

**— გუნდი თუა მზად მეოთხე ევროპული ბარიერის დასაძლევად?**

— განვლილმა სამმა ეტაპმა „დინამოს" უდიდესი გამოცდილება შესძინა და ალბათ ტრიბუნებიდანაც სჩანს, რომ ბიჭები ძალზე გაიზარდნენ. ისე, ახლა რომ ვუფიქრდები, „სპარტაკს", „ბეშიქთაშს" და „სლავიას" იქნებ სწორედ „ბოავიშტა" სჯობდა.

**— ევროპული მატჩების მერე, არ გიჭირს თამაში ჩვენს გუნდებთან, რომელთა უმრავლესობა რა დასამალია და, მცირე წინააღმდეგობასაც ვერ გიწევთ?**

— რა თქმა უნდა, ძალიან მიჭირს, მაგრამ უთამაშებლობაც არ იქნება. ეს ფორმის ასე თუ ისე შენარჩუნების ერთადერთი შანსია. მარტო ვარჯიშს ხომ არ დავჯერდებით? არადა, ზოგი შეხვედრა მართლაც არაფერს გმატებს, პირიქით, გაკარგვინებს კიდეც თამაშის ხალისს. მაგრამ, ვიმეორებ, სხვა გამოსავალი არ არის, სულ არარაობას, ისევ ის სჯობს, ითამაშო...

**— მაშ, გულშემატკივარს „ბოავიშტასთან" გამოსვლას პირდები...**

— თუ ფეხმა არ დამალალატა, შევეცდები, „ტორპედოზე" უკეთ ვითამაშო...

**მამუკა კვარაცხელია**
**ბადრი კეთილაძის ფოტოები**



საავადმყოფოში მწოლიარე მახმუტოვთან დაკავშირება ვერ მოვახერხეთ.

ანატოლი პროიაევი, „ტორპედოს" ექიმი

**— რა მდგომარეობაშია მახმუტოვი?**

— მახმუტოვს მენისკი დაუდგინდა, გარდა ამისა კიდევ გვაქვს ეჭვი სხვადასხვა ფუნქციონალურ დარღვევებზე მუხლში. მის საკითხს ექიმთა კონსილიუმი გადაწყვეტს. საოპერაციო რომაა, ეს კი უეჭველია.









## მეორე ჯგუფი

მეორე ჯგუფის გათამაშებაში [illegible] და სენსაციური არაფერი მომხდარა, გარდა იმისა, რომ დასავლეთის ლიდერი [illegible] „მაღაროელი" [illegible] „იმერეთთან" დამარცხდა. თითქოს უჩვეულო აქ არაფერია, მაგრამ ბოლოსწინა ტურში მარტვილელებისგან შინ ძლეული „იმერეთის" გამარჯვებას მაინც არავინ ელოდა. ამ მოგებით ხონელებმა ტყიბულელ მეშახტეებს ჩინებული საქმე გაუკეთეს. „მეშახტემ" „სულორს" შინ მოუგო და ლიდერს დაეწია.

აღმოსავლეთში კი ჯერჯერობით „დურუჯის" გამოკეთება გვაკვირვებს. ყვარლელები, თითქოს ბედს შეურიგდნენო, შარშანდელივით წელსაც აუტსაიდერობას აპირებდნენ, მაგრამ რაიონში ახალი ხელმძღვანელის მოსვლამ ყველაფერი სასიკეთოდ შეცვალა. განახლდა 1986 წელს დაწყებული და მერე მიტოვებული ახალი საფეხბურთო სტადიონის მშენებლობა. „დურუჯს" ეშველა და ფეხბურთელებსაც გაუჩნდათ ლუკმაპური. ამან შედეგზეც იქონია გავლენა — ბოლო ორ ტურში კახელებმა 4 ქულა მოაგროვეს. რაც შეეხება, ახალ სტადიონს, იგი, ფაქტიურად, მზადაა და 8 ნოემბერს, „ილიაობის" დღესასწაულზე გაიხსნება.

როგორც კლუბის პრეზიდენტმა თამაზ წიწრიაშვილმა მოგვახსენა, „დურუჯი" მიღწეულით დაკმაყოფილებას სულაც არ აპირებს და დაკარგულის დაბრუნებას ეცდება.

**მამუკა კვანტალიანი**

IX ტური
2-3 ოქტომბერი

აღმოსავლეთი
ასკ — არმაზი 2:4
სამგორი — დურუჯი 0:0
იბერია — ავაზა 1:0
შირაქი — ჟინერი 2:1
მრეტები — კოდაკო 0:1
აკადემია — ლოკომოტივი 1:2
შევარდენი 2 — დინამო 2 1:4
ცხინვალი — თორი 3:2
ჰერეთი — მესხეთი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 9 | 7 | 2 | 0 | 18:3 | 23 |
| არმაზი | 9 | 6 | 0 | 3 | 21:17 | 18 |
| მორკინალი | 8 | 5 | 2 | 1 | 16:3 | 17 |
| ასკ | 9 | 5 | 1 | 3 | 19:16 | 16 |
| შსს აკადემია | 9 | 5 | 0 | 4 | 24:13 | 15 |
| ცხინვალი | 9 | 5 | 0 | 4 | 15:11 | 15 |
| დინამო 2 | 8 | 4 | 2 | 2 | 20:11 | 14 |
| სამგორი | 9 | 4 | 2 | 3 | 15:15 | 14 |
| კოდაკო | 7 | 4 | 2 | 1 | 6:6 | 14 |
| იბერია | 9 | 4 | 1 | 4 | 14:12 | 13 |
| შირაქი | 8 | 4 | 2 | 2 | 11:11 | 13 |
| მრეტები | 8 | 2 | 4 | 2 | 7:8 | 10 |
| შევარდენი | 9 | 3 | 1 | 5 | 10:17 | 10 |
| ჟინერი | 7 | 3 | 0 | 4 | 14:15 | 9 |
| თორი | 7 | 3 | 0 | 4 | 9:13 | 9 |
| 35 სტუ | 7 | 2 | 2 | 3 | 16:12 | 8 |
| ჰერეთი | 8 | 1 | 2 | 5 | 10:15 | 5 |
| დურუჯი | 8 | 1 | 1 | 6 | 5:24 | 4 |
| მესხეთი | 7 | 1 | 0 | 6 | 5:21 | 3 |
| ავაზა | 7 | 0 | 0 | 7 | 5:17 | 0 |

დასავლეთი
მამისონი — ოლიმპია 3:0
მერცხალი — კახაბერი 5:1
ოდიში 2 — ეგრისი 0:1
მეშახტე — სულორი 2:1
იმერეთი — მაღაროელი 1:0
კოლხეთი 2 — სალხინო 3:0
სქური — ტორპედო 2 1:1
საპოვნელა — ჩხერიმელა 2:0
სამეგრელო — ბათუმი 2 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაღაროელი | 9 | 8 | 0 | 1 | 32:8 | 24 |
| მეშახტე | 9 | 8 | 0 | 1 | 23:5 | 24 |
| მერცხალი | 9 | 6 | 1 | 2 | 26:9 | 19 |
| იმერეთი | 9 | 5 | 2 | 2 | 16:8 | 17 |
| კოლხეთი 2 | 9 | 5 | 1 | 3 | 16:7 | 16 |
| სალხინო | 9 | 5 | 1 | 3 | 19:14 | 16 |
| ოლიმპია | 9 | 5 | 1 | 3 | 14:14 | 16 |
| სქური | 9 | 3 | 3 | 3 | 10:11 | 12 |
| სულორი | 9 | 3 | 3 | 3 | 8:10 | 12 |
| მამისონი | 9 | 3 | 2 | 4 | 24:21 | 11 |
| სამეგრელო | 9 | 3 | 2 | 4 | 13:16 | 11 |
| ეგრისი | 9 | 3 | 1 | 5 | 12:19 | 10 |
| საპოვნელა | 9 | 2 | 4 | 3 | 9:15 | 10 |
| ტორპედო 2 | 9 | 2 | 3 | 4 | 10:18 | 9 |
| კახაბერი | 9 | 2 | 1 | 6 | 9:28 | 7 |
| ბათუმი 2 | 9 | 1 | 2 | 6 | 5:19 | 5 |
| ოდიში 2 | 9 | 0 | 3 | 6 | 3:13 | 3 |
| ჩხერიმელა | 9 | 1 | 2 | 6 | 6:19 | 0 |


## განცხადება

ვაგროვებ საფეხბურთო პროგრამებს თბილისის „დინამოს" მატჩებიდან. მეთბილისის საჭიროება ევროთასებზე თბილისის „დინამოს" პროგრამები: „ტვენტესთან" (1971), მტკ-სთან, „კარდიფ სიტისთან" (1976), „ჰერტასთან" (1978) და „ჰამბურგთან" (1979). აგრეთვე მჭირდება ევროთასებზე „დინამოს" გასვლითი მატჩების და სსრკ ჩემპიონატის თამაშების (1936-70) პროგრამები. შესაძლებელია გაცვლა.

მისამართი: გლდანის მასივი, I მ-რ, 8 კორპუსი, II სადარბაზო, ბინა 31. ზაურ კიურჯიევი
ტელ: 67-09-31

## საფრანგეთი

XI ტური

**პ.ს.ჟ. 2:0 ლე ავრი**

1:0 ლეონარდო (37), 2:0 კაე (48)

**მონპელიე 3:1 ბასტია**

1:0 ფერუ (17), 2:0 ლეფევრი (44), 3:0 დილაი (51), 3:1 მორე (55)

**კაენი 0:0 ბორდო**

**კანი 1:1 ოსერი**

1:0 შარვე (10), 1:1 გომა (70)

**გინგამი 1:0 ლიონი**

1:0 კანდელა (29)

**ლანსი 2:2 მეცი**

0:1 ლანგი (4), 0:2 ბლანკარდი (6), 1:2 დელმოტი (60), 2:2 დელმოტი (70)

**მონაკო 3:1 რენი**

1:0 ანდერსონი (21), 2:0 იკპება (32), 2:1 გიუვარში (43), 3:1 ანდერსონი (73)

**ნანსი 2:2 ლილი**

0:1 ბეჟენოვიჩი (4), 1:1 ფიშერი (38), 2:1 ბონორა (66), 2:2 აბედი (88)

**ნანტი 7:0 ნიცა**

1:0 გურვენეკი (12), 2:0 ნდორამი (15), 3:0 დეკრუა (43), 4:0 და როშა (52), 5:0 კარატი (64), 6:0 ბიეკოვიჩი (67), 7:0 მაკალელე (77)

**სტრასბური 2:1 მარსელი**

1:0 ზიტელი (50 პ), 1:1 ეშუაფნი (55), 2:1 ზიტელი (88)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პ.ს.ჟ. | 11 | 7 | 4 | 0 | 17-3 | 25 |
| მონაკო | 11 | 5 | 4 | 2 | 18-5 | 19 |
| ბასტია | 11 | 5 | 4 | 2 | 17-12 | 19 |
| ბორდო | 11 | 4 | 6 | 1 | 11-5 | 18 |
| ოსერი | 11 | 4 | 6 | 1 | 11-5 | 18 |
| მეცი | 11 | 4 | 6 | 1 | 12-8 | 18 |
| ლიონი | 11 | 4 | 5 | 2 | 14-10 | 17 |
| მარსელი | 11 | 4 | 4 | 3 | 13-11 | 16 |
| გინგამი | 11 | 4 | 4 | 3 | 10-9 | 16 |
| კანი | 11 | 4 | 4 | 3 | 9-9 | 16 |
| სტრასბური | 11 | 5 | 1 | 5 | 13-15 | 16 |
| ლილი | 11 | 4 | 4 | 3 | 12-15 | 16 |
| რენი | 11 | 4 | 3 | 4 | 15-16 | 15 |
| ლანსი | 11 | 4 | 3 | 4 | 12-16 | 15 |
| მონპელიე | 11 | 2 | 5 | 4 | 10-14 | 11 |
| ლე ავრე | 11 | 2 | 3 | 6 | 8-13 | 9 |
| ნანტი | 11 | 1 | 5 | 5 | 17-17 | 8 |
| ნიცა | 11 | 2 | 2 | 7 | 9-21 | 8 |
| კაენი | 11 | 0 | 5 | 6 | 5-15 | 5 |
| ნანსი | 11 | 0 | 4 | 7 | 6-15 | 4 |

## იტალია

სერია B

მე-5 ტური: ბრეშია — ჩეზენა 1:1, კიევო დი სანგრო 2:0, ჯენოა — ბარი 2:0, ლეჩე — ემპოლი 2:0, პადოვა — პალერმო 4:0, პესკარა — ფოჯა 4:0, რავენა — ლუკეზე 0:0, რეჯინა — ვენეცია 1:1, სალერნიტანა — კრემონეზე 1:0, ტორინო — კოზენცა 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლეჩე | 5 | 5 | 0 | 0 | 10:2 | 15 |
| პესკარა | 5 | 3 | 2 | 0 | 10:4 | 11 |
| პადოვა | 5 | 3 | 1 | 1 | 8:5 | 10 |
| კიევო | 5 | 2 | 3 | 0 | 4:1 | 9 |
| ტორინო | 5 | 2 | 2 | 1 | 7:6 | 8 |
| რავენა | 5 | 2 | 2 | 1 | 5:4 | 8 |
| ემპოლი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:4 | 7 |
| სალერნიტანა | 5 | 2 | 1 | 2 | 3:5 | 7 |
| ჯენოა | 5 | 1 | 3 | 1 | 6:4 | 6 |
| ლუკეზე | 5 | 1 | 3 | 1 | 4:2 | 6 |
| ჩეზენა | 5 | 1 | 3 | 1 | 5:4 | 6 |
| ბარი | 5 | 1 | 3 | 1 | 5:4 | 6 |
| პალერმო | 5 | 1 | 3 | 1 | 4:5 | 6 |
| ბრეშია | 5 | 1 | 3 | 1 | 4:5 | 6 |
| დი სანგრო | 5 | 2 | 0 | 3 | 3:7 | 6 |
| ფოჯა | 5 | 1 | 1 | 3 | 4:9 | 4 |
| კოზენცა | 5 | 1 | 1 | 3 | 3:8 | 4 |
| კრემონეზე | 5 | 1 | 0 | 4 | 2:6 | 3 |
| ვენეცია | 5 | 0 | 2 | 3 | 4:7 | 2 |
| რეჯინა | 5 | 0 | 2 | 3 | 6:10 | 2 |

## ბელგია

მე-9 ტური: ლომელი — გენკი 0:0, მუსკრონი — სტ. ტრუდენი 5:0, ანდერლეხტი — ლიერსი 0:0, სერკლ ბრიუგე — ჰარელბეკი 1:2, ანტვერპენი — გენტი 3:1, შარლერუა — ბრიუგე 3:0, მეხელენი — მოლენბეკი 0:2, აალსტი — სტანდარტი 1:2, ლოკერენი — ეკერენი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტანდარტი | 9 | 7 | 0 | 2 | 16:10 | 21 |
| ბრიუგე | 9 | 5 | 3 | 1 | 19:9 | 18 |
| მუსკრონი | 9 | 5 | 3 | 1 | 19:9 | 18 |
| ანდერლეხტი | 9 | 4 | 5 | 0 | 17:4 | 17 |
| გენტი | 9 | 4 | 2 | 3 | 17:17 | 14 |
| შარლერუა | 9 | 4 | 1 | 4 | 16:13 | 13 |
| ლომელი | 9 | 3 | 4 | 2 | 14:15 | 13 |
| ანტვერპენი | 8 | 4 | 1 | 3 | 12:15 | 13 |
| ლიერსი | 9 | 2 | 6 | 1 | 11:7 | 12 |
| გენკი | 9 | 2 | 5 | 2 | 9:10 | 11 |
| აალსტი | 9 | 2 | 4 | 3 | 12:13 | 10 |
| მოლენბეკი | 9 | 2 | 4 | 3 | 8:11 | 10 |
| ლოკერენი | 8 | 2 | 3 | 3 | 11:9 | 9 |
| ჰარელბეკი | 9 | 2 | 3 | 4 | 9:12 | 9 |
| ეკერენი | 9 | 2 | 2 | 5 | 8:13 | 8 |
| მეხელენი | 9 | 1 | 5 | 3 | 12:16 | 8 |
| სტ. ტრუდენი | 9 | 1 | 2 | 6 | 12:27 | 5 |
| სერკლ ბრიუგე | 9 | 0 | 3 | 6 | 8:20 | 3 |

## გერმანია

ბუნდესლიგა

IX ტური

**ბოხუმი 1:0 დორტმუნდი**

1:0 ვალდოხი (63)

**შტუტგარტი 4:2 ფრაიბურგი**

1:0 ბობიჩი (12), 1:1 დეშეივერი (17), 2:1 შნეიდერი (39), 2:2 დეშეივერი (52), 3:2 ელბერი (64), 4:2 ელბერი (68)

**ლევერკუზენი 4:1 ჰანზა**

0:1 ბეინლიხი (8), 1:1 სერჟიო (54), 2:1 სერჟიო (49), 3:1 ფელდჰოფი (57), 4:1 მეიერი (78)

**ზანქტ. პაული 3:0 დიუსელდორფი**

1:0 სტანისლავსკი (20), 2:0 პროიპერი (88), 3:0 პროიპერი (90)

**მიონხენგლადბახი 1:0 მიუნხენ 1860**

1:0 ვილა (83)

**შალკე 0:1 კარლსრუე**

0:1 დანდი (12)

**არმინია 3:1 ვერდერი**

1:0 რეები (18), 1:1 ლაბადია (68), 2:1 ფუში (72), 3:1 კუნცი (90)

**ბაიერნი 2:1 ჰამბურგი**

1:0 ციკლერი (7), 1:1 სპიორლი (55), 2:1 ნერლინგერი (63)

**ლუისბურგი 3:0 კიოლნი**

1:0 ემერლინგი (24), 2:0 ვოპლერტი (41), 3:0 ბიკანიჩი (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტუტგარტი | 9 | 7 | 1 | 1 | 26-8 | 22 |
| ლევერკუზენი | 9 | 7 | 0 | 2 | 24-13 | 21 |
| ბაიერნი | 9 | 6 | 2 | 1 | 16-9 | 20 |
| კარლსრუე | 9 | 5 | 1 | 3 | 17-11 | 16 |
| დორტმუნდი | 9 | 5 | 1 | 3 | 17-14 | 16 |
| კიოლნი | 9 | 5 | 1 | 3 | 13-10 | 16 |
| ბოხუმი | 9 | 4 | 3 | 2 | 12-12 | 15 |
| ვერდერი | 9 | 4 | 1 | 4 | 19-13 | 13 |
| დიუსელდორფი | 9 | 4 | 1 | 4 | 6-13 | 13 |
| გლადბახი | 9 | 3 | 2 | 4 | 10-10 | 11 |
| ჰამბურგი | 9 | 3 | 1 | 5 | 13-16 | 10 |
| მიუნხენი | 9 | 3 | 1 | 5 | 13-16 | 10 |
| შალკე | 9 | 2 | 4 | 3 | 9-13 | 10 |
| ჰანზა | 9 | 2 | 2 | 5 | 10-14 | 8 |
| დუისბურგი | 9 | 2 | 2 | 5 | 9-14 | 8 |
| ზანქტ. პაული | 9 | 2 | 2 | 5 | 11-19 | 8 |
| არმინია | 9 | 1 | 3 | 5 | 8-13 | 6 |
| ფრაიბურგი | 9 | 2 | 0 | 7 | 13-28 | 6 |

II ბუნდესლიგა

IX ტური

ლიუბეკი — ჰერტა 1:4, კაიზერსლაუტერნი — გიუტერსლო 2:0, აინტრახტი — უერდინგენი 0:1, ცვიკაუ — ვოლფსბურგი 0:0, ოლდენბურგი — ლაიპციგი 1:1, უნტერჰახინგი — კიკერსი 1:1, მანჰაიმი — მაინცი 2:2, ფორტუნა — როტ ვაისი 1:1, მეპენი — კარლ ცაისი (წუხელ გაიმართა)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვოლფსბურგი | 9 | 4 | 4 | 1 | 11:4 | 16 |
| კ. სლაუტერნი | 8 | 4 | 4 | 0 | 10:3 | 16 |
| მაინცი | 9 | 4 | 4 | 1 | 13:7 | 16 |
| ფორტუნა | 9 | 4 | 3 | 2 | 17:10 | 15 |
| უერდინგენი | 9 | 5 | 0 | 4 | 16:11 | 15 |
| კიკერსი | 9 | 4 | 3 | 2 | 12:8 | 15 |
| ჰერტა | 8 | 3 | 3 | 2 | 14:9 | 12 |
| უნტერჰახინგი | 8 | 2 | 6 | 0 | 8:6 | 12 |
| აინტრახტი | 9 | 3 | 2 | 4 | 10:10 | 11 |
| კარლ ცაისი | 8 | 3 | 2 | 3 | 10:10 | 11 |
| მეპენი | 8 | 2 | 5 | 1 | 7:7 | 11 |
| ლაიპციგი | 9 | 3 | 2 | 4 | 15:19 | 11 |
| ცვიკაუ | 9 | 2 | 3 | 4 | 9:10 | 9 |
| ლიუბეკი | 9 | 2 | 3 | 4 | 6:16 | 9 |
| გიუტერსლოპი | 9 | 2 | 2 | 5 | 6:14 | 8 |
| მანჰაიმი | 9 | 1 | 4 | 4 | 14:17 | 7 |
| როტ ვაისი | 9 | 2 | 1 | 6 | 13:24 | 7 |
| ოლდენბურგი | 8 | 1 | 3 | 4 | 10:16 | 6 |

## ინგლისი

I დივიზიონი

11-ე ტური: ბრედფორდი — საუთენდი 0:0, გრიმსბი — ქუინზ პარკი 2:0, ოლდემი — პორტ ვეილი 3:0, ვულვერჰემპტონი — რედინგი 0:1, ტრანმერი — პორტსმუთი 4:3 დანარჩენი მატჩები მოგვიანებით გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლტონი | 10 | 7 | 2 | 1 | 24:13 | 23 |
| ნორვიჩი | 10 | 6 | 3 | 1 | 14:6 | 21 |
| ბარნსლი | 9 | 6 | 1 | 2 | 17:10 | 19 |
| ტრანმერი | 11 | 5 | 3 | 3 | 16:13 | 18 |
| კრ. პალასი | 10 | 4 | 5 | 1 | 23:10 | 17 |
| ვულვზი | 11 | 5 | 2 | 4 | 15:12 | 17 |
| სტოკ სიტი | 9 | 4 | 3 | 2 | 14:15 | 15 |
| ოქსფორდი | 10 | 4 | 2 | 4 | 13:8 | 14 |
| იფსვიჩ თაუნი | 10 | 3 | 5 | 2 | 16:13 | 14 |
| შეფილდ იუნ. | 8 | 4 | 1 | 3 | 16:12 | 13 |
| ჰადერსფილდი | 8 | 4 | 1 | 3 | 13:11 | 13 |
| ვესტ ბრომვიჩი | 9 | 3 | 4 | 2 | 13:12 | 13 |
| ქუინზ პარკი | 11 | 3 | 4 | 4 | 12:14 | 13 |
| სიტი | 9 | 4 | 0 | 5 | 9:11 | 12 |
| პორტ ვეილი | 11 | 2 | 6 | 3 | 9:13 | 12 |
| სვინდონი | 10 | 3 | 2 | 5 | 11:13 | 11 |
| პორტსმუთი | 11 | 3 | 2 | 6 | 11:17 | 11 |
| ბრედფორდი | 11 | 3 | 2 | 6 | 9:16 | 11 |
| გრიმსბი | 11 | 3 | 2 | 6 | 14:23 | 11 |
| ჩარლტონი | 8 | 3 | 1 | 4 | 7:8 | 10 |
| რედინგი | 10 | 3 | 1 | 6 | 11:21 | 10 |
| საუთენდი | 11 | 2 | 4 | 5 | 11:22 | 10 |
| ბირმინგემი | 7 | 2 | 3 | 2 | 8:7 | 9 |
| ოლდემი | 11 | 1 | 3 | 7 | 11:17 | 6 |

# მარადონა: გზანი წამებისანი



— დიეგო მარადონას სიცოცხლე საფრთხეშია — განუცხადა „ბოკა ხუნიორსის" ექიმმა არგენტინულ სპორტულ გამოცემა „ოლეს", დოქტორ ომერო დე ამოსტინოს თქმით, მარადონას ტვინის გაშუქებამ გამოუსწორებელი დაზიანება გამოავლინა. დიეგოს ტვინის წინა ნაწილის უჯრედები ერთთავად ჩამწვარია, რამაც ნებისმიერ დროს შეიძლება გამოიწვიოს სიკვდილი. ვარაუდობენ, რომ ეს კოკაინის ბრალია. დოქტორი დე აგოსტინი: „არ მეგონა, თუ ყველაფერი ასე მოხდებოდა. არასდროს მითხოვია მარადონასთვის ტვინის ტესტის ჩატარება, რადგან ამის აუცილებლობას ვერ ვხედავდი". მეორე ექიმი, რიკარდო გრიმსონი უფრო კატეგორიულია: „არ გამოვრიცხავ, რომ დიეგო უეცრად გარდაიცვალოს მოედანზე ანდა ქუჩაში სეირნობისას".

ამასთანავე, დე აგოსტინომ უარყო გაზეთ „ნოტისიასის" ინფორმაცია, თითქოს მარადონა ნარკოტიკებმა ისე დაასუსტა, რომ თამაშის დროს შეიძლება გონი დაკარგოს და მოკვდესო. „ნოტისიასმა" გამოაქვეყნა წერილი სათაურით „მარადონას მკვდარი ზონა" და ამას ტვინის გაშუქების სურათი დაურთო. მაგრამ ვისი ტვინი იყო ეს, არ უთქვამთ. გაზეთმა ტვინის სურათი მარადონას სახის გვერდით მოათავსა. „ნოტისიასმა" აღნიშნა: „დიაგნოზი საბოლოოა: ტვინის წინა ნაწილში უჯრედების კვდომა სისხლის მიმოქცევის უნარის დაკარგვით. მარადონა ველარ გააკონტროლებს თავის ქმედებას". მათივე თქმით, მარადონა უკურნებელი სენის ბოლო სტადიაშია. მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონს ჯერ არ მოუთხოვია პასუხი ამ ამბის გამვრცელებლებისთვის. კარგა ხანია, მარადონა სკანდალებშია გახვეული, ბოლო ორი კი სულ ახლახანს შეემთხვა.

აგვისტოში, შვეიცარიაში ნარკომანობის მკურნალობის შემდეგ, ესპანეთში დიეგო ლიფტში გაიჭედა და იქიდან გამოსულმა სასტუმროს ავეჯი სულ მილეწმოლეწა.

შემდეგ ბუენოსაირესელმა ძალოსანმა სერხიო პაროდიმ იგი დოპინგის გამოყენებაში დაადანაშაულა. პაროდის თქმით, მარადონას შარდის სინჯს სხვა ფეხბურთელის გვარი დააწერეს, ამ ფეხბურთელის სინჯმა კი კოკაინზე დადებითი რეაქცია უჩვენა.

„ბოკა ხუნიორსის" მწვრთნელმა კარლოს ბილარდომ დაიცვა მარადონა. მან ნაძირალად მოიხსენია პაროდი, რომელსაც მარადონას დიდების შებღალვა სურდა: „დიეგოს სინჯის პასუხი უარყოფითი იყო და მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს!"

მარადონამ თქვა, რომ აპირებს ბილარდოსა და ყოფილი თანაგუნდელების ნახვას. დიეგოს ბრიტნელი ჟურნალისტისთვის ჯიმი ბერნსისთვის კომენტრები გაუმზადებია. ბერნსმა მარადონას არაავტორიზებული ბიოგრაფიული წიგნი „ღმერთის ხელი" დაწერა.

ამასობაში, მარადონას ყოფილმა, ნაპოლელმა თანაგუნდელმა, ამჟამად „იუვენტუსისა" და იტალიის ნაკრების მცველმა ჩირო ფერარამაც ამოიდგა ენა. მისი თქმით, მარადონასთან შვიდწლიანი ურთიერთობისას არც მას და არც სხვა ნაპოლელებს ბევრი არაფერი გაუკეთებიათ, რათა დიეგოსთვის ნარკომანობა მოეშლევინებინათ: „უბედურება ის იყო, რომ დიეგომ კოკაინის ყნოსვა „ნაპოლიში" მოსვლამდე, ბარსელონაში დაიწყო და ჩვენ ამას გვიან მივხვდით. ზოგჯერ დიეგოს სახლში შევუვლიდი და ვაფრთხილებდი, მნიშვნელოვანი თამაში გველის, ძალიან გვჭირდები და ვარჯიშზე წამოდი-მეთქი. ვარჯიშისას ორგანიზმი კოკაინისგან ეწმინდებოდა, შემდეგ კი დიეგოსა და მისი მეუღლის თანხლებით პიცერიაში მივდიოდით. ვფიქრობდი, რაც მეტ პიცას შეჭამდა, იმდენით ნაკლებ კოკაინს დაყნოსავდა. ამიტომაც, პიცაზე თითქმის ყოველ საღამოს ვპატიჟებდით".

1960: 30 ოქტომბერს ბუენოს-აირესში, მუშის რვაშვილიან ოჯახში დაიბადა დიეგო არმანდო მარადონა, იგი მეხუთე ბავშვი იყო.

1976: 20 ოქტომბერს პირველად ითამაშა პირველ დივიზიონში „არგენტინოს ხენიორსის" შემადგენლობაში.

1977: დებიუტი არგენტინის ნაკრებში.

1978: არგენტინელთა მწვრთნელმა სეზარ ლუის მენოტიმ არ შეიყვანა მსოფლიოს ჩემპიონატზე გასამგზავრებელ გუნდში. მიზეზი დიეგოს მცირეწლოვანება იყო.

1979: არგენტინამ, რომლის კაპიტანიც მარადონა იყო, მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი მოიგო იაპონიაში.

1981: გახდა არგენტინის ჩემპიონი „ბოკა ხუნიორსის" შემადგენლობაში.

1982: მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ გადავიდა „ბარსელონაში".

1984: „ბარსელონადან" იტალიის „ნაპოლში" გადავიდა.

1986: ცნობილი „ღმერთის ხელით" გოლი გაუტანა ინგლისს მსოფლიოს ჩემპიონატზე. გერმანიის 3:2 დამარცხებით არგენტინა მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

1987: „ნაპოლი" პირველად გახდა იტალიის ჩემპიონი.

1989: „ნაპოლის" მოაგებინა პირველი ევროთასი — თასების მფლობელთა თასი.

1990: „ნაპოლი" მეორედ გახდა იტალიის ჩემპიონი. მსოფლიოს ჩემპიონატზე მარადონა კაპიტნობდა არგენტინის ნაკრებს, რომელმაც ფინალი 0:1 წააგო გერმანიასთან.

1991: დოპინგ-ტესტში კოკაინი აღმოუჩინეს და 15 თვიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. მალევე კოკაინის შეტანისთვის არგენტინაში დააპატიმრეს. სასამართლომ სამედიცინო კონტროლი დაუწესა.

1992: ნარკო-სკანდალის შემდეგ უარი თქვა „ნაპოლიში" დაბრუნებაზე და გაყიდვა მოითხოვა, მარადონა ესპანურ „სევილიაში" გადავიდა.

1993: დაბრუნდა ნაკრებში და ბრაზილიის წინააღმდეგ უკაპიტნა არგენტინას. მიატოვა „სევილია" და არგენტინულ „ნიუელზ ოლდ ბოიზში" გადავიდა.

1994: ვარჯიშის გაცდენისთვის გაირიცხა „ნიუელზიდან". პნევმატური თოფით დაჭრა ჟურნალისტები. მსოფლიოს ჩემპიონატზე ორი მატჩი ითამაშა. მერე კი დოპინგზე ჩავარდა. ფიფამ 15-თვიანი დისკვალიფიკაცია მისცა.

1995: არგენტინის დაბალი ლიგების კლუბების წარუმატებელი მწვრთნელობის შემდეგ მოთამაშედ დაუბრუნდა „ბოკა ხუნიორსს".

1996: შვეიცარიის კლინიკაში ნარკომანობას მკურნალობდა.

## ფეხბურთის რუკასთან



**პოლონეთის** ნაკრებმა ხვალ „უემბლიზე" ინგლისის წინააღმდეგ უნდა ითამაშოს. სტუმართა მწვრთნელმა ანტონინ პეხნიჩეკმა ფეხბურთელთა მზადყოფნის შესამოწმებლად ამხანაგური მატჩი გამართა ზაბჟეს „გურნიკთან". ნაკრებმა მოიგო 4:0. შეხვედრაში, რომელიც ორი 40 წუთიანი ტაიმისაგან შედგებოდა პეხნიჩეკმა 20 მოთამაშე გამოსცადა და კმაყოფილი დარჩა. გოლები გაიტანეს რიშარდ სტანეკმა (პენალტით), კაზიმეჟ ვეგჟინმა, მარეკ ციტკომ და ერთიც „გურნიკის" მარეკ პიოტროვსკიმ თავის კარში მიამატა. საკონტროლო მატჩისგან მიღებული შთაბეჭდილებით მწვრთნელმა ინგლისს წასაყვანად 19 ფეხბურთელი შეარჩია: მაცეი შჩესნი (ვიძევი), ანჯეი ვოზნიაკი (პორტუ, პორტუგალია); პაველ ვოიტალა (ვიძევი), იაცეკ ზელინსკი (ლეგია), ადამ ლედვონი (გკს), კაზიმეჟ ვეგჟინი (გკს), ტომაშ ჰაიტო (გურნიკი), პაველ სკრეიპეკი (რაკოვი), მარეკ იუზვიაკი (გინგამი, საფრანგეთი), ტომაშ ვალდოხი (ბოხუმი, გერმანია); რადოსლავ მიხალსკი (ვიძევი), რიშარდ სტანეკი (ლეგია), პიოტრ ნოვაკი (მიუნხენი, გერმანია), ირჟი ბრჟეჩეკი (ტიროლი, ავსტრია); მარეკ ციტკო (ვიძევი), ცეზარ კუხარსკი (ლეგია), მარეკ საგანოვსკი (ფეიენოორდი, ჰოლანდია), კჟიშტოფ ვარჟიხა (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), ჰენრიკ ბალუშინსკი (ბოხუმი, გერმანია). იმავდროულად გაირკვა პოლონეთის თასის მერვედფინალური ეტაპის წყვილები: სტალი — ოდრა, ჰეტმანი — ვისლა, პეტრობემია — სტომილი, პოგონი — ამიცა, ვიძევი — რაკოვი, რუხი — პოლონია, გკს — ზაგლებიე, ლეგია — გურნიკი.

**აშშ-ის** ლიგაში მოთამაშე ცნობილი იტალიელი ნახევარმცველი რობერტო დონადონი ალბათ „მილანში" დაბრუნდება. ეს ცნობა, წყაროს მიუთითებლად, ყოველდღიურმა „კორიერე დელო სპორტმა" გამოაქვეყნა. ცნობაში ეწერა, რომ დონადონი არდადეგებიდან შინ უნდა დაბრუნებულიყო და თავის ყოფილ კლუბთან 1998 წლამდე კონტრაქტისთვის მოეწერა ხელი. იტალიელის ამერიკული მიღწევა ის გახლავთ, რომ არცთუ ძლიერი ნიუ იორკ/ნიუ ჯერსის „მეტროსტარზი" ჯგუფური შეჯიბრებიდან ფლეი-ოფში გაიყვანა. ამერიკაში გადასვლამდე დონადონიმ „მილანში" 10 წელი გაატარა, ხუთჯერ გახდა იტალიის ჩემპიონი და კლუბის ყველა ევროპულ წარმატებაში წვლილი დაიდო.

**უნგრეთის** ჩემპიონი „ფერენცვაროში" უეფამ 100 ათასი შვეიცარული ფრანკით დააჯარიმა (ფრანკი და ლარი დაახლოებით ტოლია) და უეფას თასის გათამაშებიდან გაძევებითაც დაემუქრა. მიზეზი: 10 სექტემბერს, ბუდაპეშტში, საბერძნეთის „ოლიმპიაკოსთან" შეხვედრაში (3:1) ქომაგები ცუდად იქცეოდნენ. ახლა, მეთექვსმეტედფინალში „ფერენცვაროში" „ნიუკასლს" ხვდება.

**პორტუგალიის** „გიმარაეში" უეფამ 25 ათასი შვეიცარული ფრანკით დააჯარიმა. 24 სექტემბერს, იტალიის „პარმასთან" განმეორებით შეხვედრაში (2:0) პორტუგალიელი აუტის ბიჭები და ფოტორეპორტიორები, ბურთის მოედანზე დაბრუნებას განზრახ აჭიანურებდნენ. გარდა ამისა, ტრიბუნიდან მოედანზე დახვეულ ქაღალდს ყრიდნენ.

**საფრანგეთში** დააპატიმრეს „ბორდოს" ყოფილი პრეზიდენტი კლოდ ბეზი, რომელსაც სახალხო ფონდის მითვისებაში დასდეს ბრალი. ბეზს სამწლიანი ციხე და ერთწლიანი პირობითი სასჯელი გამოუტანეს, მაგრამ სუსტი ჯანმრთელობის გამო გარკვეული შეღავათი გაუწიეს. ორშაბათიდან ბეზი დღისით სამსახურში ივლის, ღამით კი პატიმრობის ადგილს დაუბრუნდება. გამოკვლევამ ცხადჰყო, რომ „ბორდოს" 50 მილიონიანი საწვრთნელი კომპლექსი სინამდვილეში ამ თანხის ნახევარიც არ ღირს.

**გერმანული** ჟურნალის „კიკერის" ცნობით მიუნხენის „ბაიერნის" 24 წლის ფეხბურთელი კრისტიან ციგე (25 მატჩი ნაკრებში) ლონდონის „არსენალს" სურს. „არსენალი" და მისი ახალი ფრანგი მწვრთნელი ვენგერი „ბაიერნს" დაუკავშირდნენ და ასეთი რამ შესთავაზეს: 1998 წლის შუამდე, სანამ ციგეს „ბაიერნთან" კონტრაქტი აქვს, გერმანული კლუბი მისთვის სასურველი სხვა ტრანსფერისთვის 10 მილიონ მარკას მიიღებს. კიდევ ერთი გერმანელი, „ჰამბურგის" 28 წლის იენს დოვე „ვულვერჰემპტონში" გადადის.

**აფრიკის თასზე:** ალჟირი — სპილოს ძვლის ნაპირი 4:1, ტოგო — ტანზანია 2:1, ტუნისი — სიერა ლეონე 2:0, გვინეა — ცენტრალური აფრიკა 3:2, განა — ანგოლა 2:1, მავრიტანია — მალავი 2:1, ზამბია — მოზამბიკი 1:0, ზაირი — ლიბერია 0:0, სენეგალი — ეთიოპია 2:1

# ფლას-ი-ბრენინი — მართლაც მეფური ადგილი



შოთა ელისაშვილი (ზის მარჯვნიდან მესამე), მისი მეწყვილე ქრისტიან ბეკვიჩი (მარცხნიდან პირველი) შეკრების მონაწილეებთან ერთად.

შემთხვევით ხელში ჩაგვივარდა შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში გამომავალი ჟურნალი HIGH MOUNTAIN SPORTS. ჩვენი ყურადღება მიიპყრო ენდი მაკნის სტატიამაც BMC-ს მეკლდეურთა საერთაშორისო შეკრება. ავტორი ერთგან წერს:

„კვლავ ტრემადოგის კლდეები. ამჯერად მე შევუერთდი აშშ-ს ალპინისტური ჟურნალის მთავარ რედაქტორ ქრისტიან ბეკვიჩისა და საქართველოს წარმომადგენელ შოთა ელისაშვილის ჩაბმას. შოთა, რომელიც 52 წლისაა, უკვე ექვსჯერ იყო ბრიტანეთში. 1991 წელს იგი ვეტერანთა შორის დიდი ბრიტანეთში გამართულ მეკლდეურთა მსოფლიო თასის გათამაშებაში მონაწილეობდა.

ქრისტიანი ყველას იმით აკვირვებდა, რომ მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, ძალზე კარგი მეკლდეური გახლდათ. მან თავისი რედაქტორული მოღვაწეობიდან ჟურნალის გამოცემის წინ ცოტა დასვენება და ამ შეკრებაში მონაწილეობა გადაწყვიტა. ვფიქრობ, მან დიდად ისიამოვნა ამ შეკრებით.

შოთა ძალების მოზღვავებას გრძნობდა და უნდოდა რთული მარშრუტის დაძლევა. ამიტომ შევთავაზე, მოდი ITIH E2 6A მარშრუტით ავიდეთ-მეთქი. იგი არ შეუშინდა თავის გაცვეთილ საჭურველს და თამამად დაიწყო ასვლა. გვერდი აუარა ნაპრალს და ახალი ქართული ვარიანტით შთამბეჭდავი სიმამაცით და გამბედაობით გააგრძელა ასვლა".

ყოველივე ამან დაგვაინტერესა და შოთა ელისაშვილს ვეწვიეთ.

თბილისელი შოთა ელისაშვილის ასაკი და ის, რომ ვეტერანთა მსოფლიო თასის გათამაშებაში მონაწილეობდა, მკითხველმა ენდი მაკნის სტატიის ციტატიდან შეიტყო, ჩვენ კი დავძინეთ, რომ თავის დროზე იგი იყო საქართველოსა და „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს მეკლდეურთა და მთამსვლელთა ნაკრების წევრი. მეკლდეურთა საკავშირო ჩემპიონატში კი მისი უმაღლესი მიღწევა წყვილთა ჩაბმაში დაკავებული IV ადგილია (1971 წელს). ახლა შოთა ელისაშვილი საქართველოს მთამსვლელთა კავშირის გენერალური მდივანია.

ახლა კი გაგაცნობთ ჩვენს საუბარსაც.

**— „სარბიელის" მკითხველისთვის საინტერესო იქნება, თუ თქვენგან გაიგებს რა ასვლაზეა ამ ჟურნალში საუბარი, სად მოეწყო იგი და საერთოდ რა ღონისძიება იყო?**

— ეს იყო მეკლდეურთა საერთაშორისო არასაშეჯიბრო შეკრება, რომელსაც ჩრდილოეთ უელსში, ფლას-ი-ბრენინის ბრიტანეთის სამთო ცენტრში ჩატარდა. იგი მთამსვლელთა საერთაშორისო ფედერაციის (უიაა) ეგიდით 1992 წლიდან ორ წელიწადში ერთხელ ტარდება.

**— უეჭველად, თუ არასაშეჯიბრო იყო, კლდეზე რაღა გინდოდით?**

— არავითარი შეჯიბრება არ ყოფილა. მაგრამ იყო დიდებული კლდეები და ჩვენც ცდუნებას ვერ ვუძლებდით. სხვათა შორის, ფლას-ი-ბრენინი უელსურად მეფეთა ადგილს ნიშნავს. მართლაც მეფური ადგილია, ყოველ შემთხვევაში მეკლდეურთათვის — აქ ნებისმიერი სირთულის კლდეებია. ქანებიც მრავალფეროვანია. კლდეები ზოგი მინდორშია აღმართული, ზოგსაც ზღვის ტალღები ეხეთქება, ზოგიც მთაშია და გიჟმაჟი მდინარეები გრიალით ეშვება. ამიტომაც სწორედ აქ ამზადებენ სამთო გიდებს, ინსტრუქტორებს, აქვე ამზადებენ სამთო ლაშქრობათა თუ მთის მდინარეებზე ნავებით დაშვების მოყვარულთა ინსტრუქტორებს. ერთი სიტყვით, აირჩიე, სულო და გულო...

და ჩვენც ვირჩევდით ნაირგვარ კლდეებს. ამასთან, კლდეზე ასვლა დღის წესრიგითაც იყო გათვალისწინებული მაშინაც, როცა უიაა-ს ეგიდით ალპინისტური შეკრებაც გაიმართა და ამ ღონისძიებაშიც ვმონაწილეობდით.

**— თქვენ როგორ მოხვდით ამ შეკრებაზე?**

— 1991 წელს ლონდონის ალპინისტურმა კლუბმა მიმიწვია სიმპოზიუმზე, რომლის თემა იყო „მთამსვლელობა კავკასიონზე", სადაც მეც გამოვედი მოხსენებით. მას ესწრებოდნენ ბრიტანეთის მთამსვლელობის საბჭოს (BMC) წარმომადგენლები, მათთან ჩემი ურთიერთობაც მაშინ დაიწყო. მათ არც BMC-ს ამ შეკრებაზე დამივიწყეს და მიმიწვიეს.

**— რამდენი ქვეყნის მთამსვლელები და მეკლდეურები მონაწილეობდნენ ამ შეკრებაში?**

— მიწვევები 70 ქვეყნას გაუგზავნეს, მაგრამ 22 სახელმწიფოდან 45 კაცი ჩამოვიდა. ყოფილი საბჭოთა კავშირიდან ჩემს გარდა ლატვიის ორი, ლიტვისა და ყაზახეთის თითო წარმომადგენელი იყო. რაც შეეხება სხვებს, ჩამოვიდნენ ისეთი მდიდარი ალპინისტური ტრადიციების ქვეყნებიდან, როგორებიცაა აშშ, საფრანგეთი, იტალია, შვეცია, გერმანია, ახალი ზელანდია და სხვა... ჩამოვიდნენ ფინეთიდან, საბერძნეთიდან, დანიიდან, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკებიდან და ისეთი სახელმწიფოებიდანაც, სადაც ამგვარი ტრადიციებით ჯერჯერობით თავს ვერ მოიწონებენ, მაგრამ ამისკენ კი ისწრაფვიან.

**— მანც, რა მიზანი ჰქონდა ამ შეკრებას?**

— მიზანი გახლდათ, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეკლდეურთა პოლიტიკის შემუშავება, რაშიც იგულისხმება „მეკლდეურის თანამედროვე ალჭურვილობით კლდეზე ურთულესი მარშრუტების გავლა, „წინმავალის დაცვა არაფიქსირებული საჭურველით"...მეორე თემაზე დიდი კამათი და აზრთა სხვადასხვაობა იყო. არაფიქსირებული დაცვა, მოგეხსენებათ, იმას გულისხმობს, რომ მარშრუტის გავლის მერე კლდეზე არავითარი ინვენტარი არ რჩება, ფიქსირებულის გამოყენებისას კი კლდე მოჭედილია რკინეულობით — პალოებით, შლამბურებით, ჭანჭიკებით; ხშირად რჩება კარაბინებიც. კლდეების ამგვარი დაბინძურება დაუშვებელია და ამას ყველა აღიარებს, მაგრამ მოწინააღმდეგენი ირწმუნებიან, არაფიქსირებული ინვენტარით ურთულესი კლდის გავლა პრაქტიკულად შეუძლებელიაო, ამათ კი პასუხობენ, კეთილი ინებეთ და ისე დახვეწეთ თქვენი ტექნიკური და ფიზიკური მომზადება, რომ მისი დაძლევა შეძლოთო.

სხვათა შორის, არაფიქსირებული დაცვის ინვენტარი „როქსი", „ფრენდი", „ექსცენტრიკი" და სხვა მისთანანი საკმაოდ ძვირი, 28-35 ფუნტი ღირს.

**— მთამსვლელთა შეკრების მიზანი რაღა იყო?**

— აქ უკვე წმინდა წყლის ალპინისტური საკითხები იყო: განიხილავდნენ საერთაშორისო ასვლების პრობლემებს, მსჯელობდნენ ეკოლოგიის პრობლემებზეც. ეს საკითხი მთამსვლელებს მეკლდეურებზე მეტად აღელვებთ, რადგან ისინი მთაში გაცილებით მეტ რკინეულობას და არა მხოლოდ რკინეულობას ტოვებენ. მათ შორის იგივე ინვენტარს, რასაც მეკლდეურები და დამატებით — ყინულის პალოებს, ჟანგბადის ბალონებს, კონსერვის ქილებს, პლასტმასის ჭურჭლებს, ცელოფნებს და ათას ნაგავს... ყოველივე ამაზე მთელი ერთი კვირა ვმსჯელობდით.

**— მაგრამ ფოტოებიდან ჩანს, მხოლოდ აუდიტორიებში მსჯელობით არ შემოფარგლულხართ.**

— ჩვენი დღის რეჟიმი, ორივე შეკრებაზე ასეთი იყო: 9-დან 16-17 საათამდე კლდოვანი მარშრუტების გავლა იყო ჩაბმებით. დღის მეორე ნახევარში თეორიული მსჯელობა იწყებოდა. აქ ცნობილი მეკლდეურები სლაიდების მეშვეობით ერთმანეთს უზიარებდნენ თანამედროვე, არაფიქსირებული ინვენტარით ურთულესი მარშრუტების გავლის ტექნიკას. მსოფლიოს ერთ-ერთმა უძლიერესმა მეკლდეურმა, ბრიტანელმა ჯონი დოუსმა თავისი ოსტატობის ამსახველი ვიდეოფილმიც გვიჩვენა. თავისი საოცარი დიდოსტატობის გამო ინგლისელებმა მას უწოდეს „სთოუნ მანკი", რაც ქართულად კლდის მაიმუნს ნიშნავს. წარმოიდგინეთ, რა ამბავი ატყდებოდა საქართველოში, ჩვენი უძლიერესი მეკლდეურისთვის კლდის მაიმუნი რომ ეწოდებინათ, მაგრამ ინგლისელებმა თავიანთ საუკეთესო კლდეთამძლეს სწორედ ასე შეარქვეს და ამაში თვალნათლივ ჩანს მათი მენტალიტეტი. როცა იმ ვიდეოფილმის კადრები ვიხილეთ, დავრწმუნდებით, რომ დოუსის ზედმეტი სახელი ზედმიწევნით ზუსტად გამოხატავს მის ოსტატობას. იგი ურთულეს „უ9" კატეგორიის მარშრუტზე მართლაც მაიმუნივით სწრაფად, მოქნილად და ფანტასტიური ოსტატობით მიიწევდა ზემოთ. ამით აღფრთოვანებული მეკლდეურები მეორე დღიდან უფრო რთულ მარშრუტებს შეეჭიდნენ.

**— ქრისტიან ბეკვიჩი და ენდი მაკნი ასვლებისას თქვენი მუდმივი პარტნიორები იყვნენ?**

— არა, პარტნიორებს ხშირად ვიცვლიდით. ძირითადად „E2", „E3" სირთულის მარშრუტებზე დავდიოდით.

**— ეს მგონი რაღაც ახალი კლასიფიკაციაა, არა? ჩვენებურად თუ გადმოვიტანთ, რომელი კატეგორიის სირთულე გამოვა?**

— ინგლისელებს თავიანთი საკუთარი ძალიან რთული კლასიფიკაცია აქვთ. კაცი მათთან დიდხანს უნდა იყო, რომ იმათ კლასიფიკაციაში გაერკვე. „E-1"-ის დაბლა ხუთი გრადაციაა და იგი ჩვენებურად საშუალო სირთულისაა; „E1"-ის ზემოთ კი რვა გრადაცია არსებობს და ეს უკვე რთულია. „E3"-ის ზემოთ მარშრუტი დაახლოებით ისეთია, როგორზეც საქართველოს ან საკავშირო ჩემპიონატები ტარდებოდა. შეჯიბრებები „E5" კატეგირიის მაშრუტებამდე ტარდება. უფრო რთულში ასპარეზობა წარმოუდგენელია E7-8-9 სირთულის მარშრუტებს მთელს მსოფლიოში 100 კაცი თუ გაივლის, ოღონდ იქ ტემპზე საუბარი ზედმეტია.

**— ამ ჟურნალებში დასტამბულ ფოტოებზე ჩანს, რომ კლდეები პირდაპირ ზღვიდანაა ამოზიდული. კი მაგრამ, კლდის ძირამდე როგორ მიდიოდნენ მეკლდეურები? ისევე ხომ არა, როგორც ერთ დროს მტკვარზე, მეტეხის კლდეებთან ჩვენი მეკლდეურები — ნავით?**

— არა, მეკლდეურები კლდის ძირას ზემოდან ეშვებოდნენ დიულფერით, მერე კი ამოსვლას იწყებდნენ. ზღვიდან ამოზიდულ კლდეებს გოგას კლდეები ერქვა.

**— ბოლოს, რით გასრულდა თქვენი შეკრება, რაზე შეთანხმდით?**

— როგორც „CLIMBER" წერდა, „კვირის ბოლოს ბედნიერი სახეებითა და დაღლილი მკლავებით მეკლდეურები მივიდნენ დასკვნამდე, რომელიც ჩამოაყალიბეს შეთანხმებაში"...

ამ ხუთპუნქტიანი შეთანხმების მთავრი არსი ის არის, რომ შეკრების მონაწილენი მოუწოდებენ ყველა ქვეყანას, რომ მათ არ შეზღუდონ მთამსვლელთა და მეკლდეურთა თავისუფალი, დაუბრკოლებელი სიარული მთაში. თავის მხრივ მთამსვლელები და მეკლდეურები ვალდებულებას იღებენ, რომ ულამაზეს მთებს და კლდეებს შეუნარჩუნონ პირველქმნილი სახე, დაიცვან ფლორა და ფაუნა; მთაში სიარულისას არ დაარღვიონ ის დიდებული ჰარმონია რომელიც დედამიწაზე სუფევს.

საერთაშორისო შეკრების მონაწილეთა მოწოდებაა მხარი დაუჭირონ მეკლდეურობის ფიქსირებული საჭურვლის გამოყენებას მხოლოდ მთამსვლელთა საზოგადოებასთან კონსულტაციებისა და შეთანხმების შემდეგ იმ შემთხვევაში თუკი ასეთი საჭურვლის გამოყენება აუცილებელია; ამავე დროს საერთაშორისო შეკრების მონაწილენი ეწინააღმდეგებიან ფიქსირებული დაცვის საშუალებების პოპულარიზაციას.

**ავთანდილ ბურასაშვილი**



გოგის კლდეებზე


# სარბიელი

## სპორტული ლატარეა "CROCO"

### მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

8 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოსნია — ხორვატია (იტალიაში) | 6,0 | 3,1 | 1,3 |
| ლუქსენბურგი — ბულგარეთი | 9,0 | 4,2 | 1,1 |
| 2:0 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| 9 ოქტომბერი | | | |
| დანია — საბერძნეთი | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| ინგლისი — პოლონეთი | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| იტალია — საქართველო | ანგარიში — 4,5 | | |
| ნორვეგია — უნგრეთი | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| შვედეთი — ავსტრია | 1,4 | 2,8 | 5,6 |
| ესტონეთი — შოტლანდია | 7,0 | 4,0 | 1,15 |
| 1:0 | 3,4 | 3,4 | 1,4 |
| ბელარუსი — ლატვია | 1,3 | 3,1 | 6,0 |
| ისრაელი — რუსეთი | 2,3 | 2,5 | 2,3 |
| ჩეხეთი — ესპანეთი | 2,0 | 2,5 | 2,9 |
| სან მარინო — ბელგია | 10,0 | 5,0 | 1,05 |
| 3:0 | 2,2 | 3,4 | 1,8 |
| ისლანდია — რუმინეთი | 5,6 | 3,2 | 1,3 |
| ირლანდია — მაკედონია | 1,15 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,4 | 3,4 |
| ლიტვა — ლიხტენშტაინი | 1,05 | 3,8 | 8,0 |
| 0:3 | 1,7 | 3,4 | 2,4 |
| ალბანეთი — პორტუგალია | 5,6 | 3,2 | 1,3 |
| სომხეთი — გერმანია | 10,0 | 4,0 | 1,1 |
| 2:0 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ვენესუელა — არგენტინა | 9,0 | 4,2 | 1,1 |
| 1:0 | 3,6 | 3,4 | 1,35 |
| ურუგვაი — ბოლივია | 1,2 | 3,4 | 7,0 |
| ეკვადორი — კოლუმბია | 2,2 | 2,4 | 2,6 |
| პარაგვაი — ჩილე | 1,5 | 2,7 | 4,7 |

### სხვადასხვა ქვეყნის ჩემპიონატებიდან

8 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ეინდჰოვენი — ტვენტე | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| 9 ოქტომბერი | | | |
| აზ ალკმაარი — სპარტა | 1,7 | 2,8 | 3,3 |
| აიაქსი — ვილემ II | 1,05 | 5,0 | 10,0 |
| ვიტესი — როდა | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| ფეინოორდი — გრონინგენი | 1,05 | 5,0 | 10,0 |
| ბაზელი — იანგ ბოიზი | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| ქსამაქსი — ლუცერნი | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| სიონი — ლუგანო | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| გრასჰოპერი — აარაუ | 1,2 | 3,3 | 8,0 |

### ჰოკეი. ევროლიგა. მე-2 ტური

8 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ტპს (ფინეთი) — ბერლინი | 1,05 | 4,0 | 10,0 |
| ლულეო (შვედეთი) — მანჩესტერი | 1,05 | 4,0 | 10,0 |
| კიოლნი — იოკერიტი (ფინეთი) | 2,0 | 4,0 | 1,6 |
| ბერნი — მილანი | 1,4 | 4,0 | 2,2 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე

## CROCO-2

### ტირაჟი №75

1. დანია — საბერძნეთი
2. ნორვეგია — უნგრეთი
3. შვედეთი — ავსტრია
4. ისრაელი — რუსეთი
5. ჩეხეთი — ესპანეთი
6. ალბანეთი — პორტუგალია
7. ეკვადორი — კოლუმბია
8. პარაგვაი — ჩილე

მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ტირაჟში მოცემული 8 მატჩის მხოლოდ ძირითადი დროის შედეგი. მოგებულად ჩაითვლება ბილეთი, რომელშიც გამოცნობილია 8 მატჩის შედეგი. მინიმალური მოგება 50 ლარია, მაქსიმალური კი — 1000 ლარი. ერთ ბილეთში შევსებული ვარიანტების რაოდენობა შეზღუდული არ არის. თუ ტირაჟში შეტანილი რომელიმე მატჩი არ ჩატარდა, ჩაიშალა ან შეიცვალა მოედანი, ტირაჟი გაუქმებულად ცხადდება და მოთამაშეებს თანხა უბრუნდებათ.

ერთი ვარიანტის ღირებულებაა 1 ლარი.
მოგების ფონდს ემატება **JACK POT**

8 თამაშის გამოცნობისთვის მინიმალური მოგება — 50 ლარი, მაქსიმალური — 1 000 ლარი. 7 თამაშის გამოცნობისთვის მოგება — 5 ლარი.

# ზურაბ აზმაიფარაშვილი: შექველი ბრინჯაო დავკარგეთ

ბრძენთ უთქვამთ: ცხოვრება განა ჩავლილ დღეთა ჯამია, ის დღეებია, რომლებიც გვახსოვს. ის დღე ჩვენი ბრწყინვალე დიდოსტატი ქალების პატივსაცემად საქართველოს ჰიმნის თანხლებით საქართველოს დროშა რომ აღიმართა ერევანში, საჭადრაკო ოლიმპიადაზე, რა თქმა უნდა, ყველა ჩვენგანს დაამახსოვრდება. ისევე, როგორც გვახსოვს უწინდელი გამარჯვებანი მანილასა და მოსკოვში. არცერთი ქვეყნის ნაკრები აწ უკვე ისტორიას ჩაბარებული საბჭოთა კავშირის გარდა, არ ასულა საჭადრაკო ოლიმპიადის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ზედიზედ სამჯერ.

ჭადრაკის მატიანეში სამუდამოდ ჩაიწერა ნანა იოსელიანის და ქეთევან არახამიას მიღწევები — პირველი ადგილები მეორე და მესამე დაფებზე! განა მაია ჩიბურდანიძის „პლუს ხუთი" პირველ დაფაზე შესანიშნავი შედეგი არ არის?

მაგრამ თუ მოჭადრაკე ქალებმა დიდი ხანია შეგვაჩვიეს წარმატებებს, გია გიორგაძის მესამე ადგილი ვაჟთა მეორე დაფაზე ქართველი მოჭადრაკეების პირველი ასეთი წარმატებაა და საკმაოდ მნიშვნელოვანიც. ვაჟთა გუნდის მერვე ადგილიც, რა თქმა უნდა, წარმატებაა. მაგრამ... ბრინჯაოს მედლების მოსაპოვებლად ჩვენს ვაჟებს სულ ცოტა დააკლდათ. ეს კი თავისებური ტრაგედიაც იყო.

თუმცა, ყველაფერს ის სჯობს, თავად ოლიმპიადის მონაწილეს მოვუსმინოთ. საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ლიდერი ზურაბ აზმაიფარაშვილი გახლდათ.



**— უპირველესად ეს მინდა გკითხოთ: ერევანში მართლაც უძლიერესი შემადგენლობით წახვედით?**

— ალბათ იცით, რომ გუნდი ასეთი პრინციპით ყალიბდება — 4+2, ოთხი ძირითადი, ორიც სათადარიგო. გუნდში მართლაც საუკეთესონი იყვნენ. გია გიორგაძე, ზურაბ სტურუა, ლაშა ჯანჯღავა, გენადი ზაიჩიკი, ზვიჩა სუპატაშვილი.

ვფიქრობდი, რომ შეიძლებოდა გიგა ყაჭიშვილის წაყვანა, რომელმაც საგრძნობლად გააუმჯობესა თამაში, მაგრამ იგი ძალზე ცუდად გამოვიდა საქართველოს ჩემპიონატში და მას ისევ ჯანჯღავა ვარჩიეთ. ლაშა ძლიერი დიდოსტატია, მაგრამ, მუსიკალური ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, უფრო სოლისტია, ვიდრე ანსამბლის წევრი. ის მკვეთრი ინდივიდუალური ყაიდის მოთამაშეა, გუნდურ შეჯიბრებაში კი სულ სხვა თვისებებია საჭირო. აკი მოსკოვშიც ცუდად ითამაშა. ერევანშიც, როცა პირველი სამი პარტიიდან ერთი მოიგო და ორი წააგო, ლაშა თავად მიხვდა, რომ ოლიმპიადა მისი სტიქია არ არის. ჯანჯღავა მომავალშიც ჩვენთან იქნება, ოღონდ მწვრთნელის რანგში.

გუნდის წევრთა შერჩევა კი, ჩემი აზრით, ასე უნდა ხდებოდეს: უნდა მოეწყოს საქართველოს ჩემპიონატი დიდი საპრიზო ფონდით, რათა მან უძლიერესნი შეკრიბოს. აი, სწორედ ამგვარ ჩემპიონატში, საჭადრაკო დაფებთან უნდა გაირკვეს, ვინ არის საქართველოს ნაკრებში თამაშის ღირსი.

ქალთაგან, ჩიბურდანიძის, იოსელიანის და არახამიას მონაწილეობა ეჭვს არ იწვევდა. სხვათა შორის, ის თუ იცით, რომ არახამია კაპიტან გრანტის მეუღლეა? მისი ქმარი შოტლანდიის მოჭადრაკეთა ნაკრების კაპიტანია და გვარადაც მართლა გრანტია.

რაც შეეხება ნინო გურიელს... იყო ეჭვები მისი ნაკრებში მიწვევის თაობაზე. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდა ნინო ხურციძე, რომელიც მასსა და გურიელს შორის მატჩის გამართვას ითხოვდა ნაკრებში ჩარიცხვის უფლების მოსაპოვებლად. მაგრამ ამ შემადგენლობით ნაკრებმა ერევნამდე ორჯერ გაიმარჯვა, გამარჯვებულ შემადგენლობას კი არ ცვლიან. შეწყობილი კოლექტივი დიდი ძალაა. ხურციძემ, ნებსით თუ უნებლიეთ, დისონანსი შემოიტანა. გურიელი ანერვიულდა. მას უნდა დაემტკიცებინა საკუთარი ძალა, ამასთან იგი რაღაცით მოიწამლა, თუმცა ერევანში შესანიშნავად გვკვებავდნენ.

ამ ფსიქოლოგიურმა ტვირთმა უარყოფითად იმოქმედა ნინოს თამაშზე და აკი ცუდადაც გამოვიდა — ხუთიდან ორნახევარი ქულა მოაგროვა. ხურციძე იყო ერევანში და, როგორც მომეჩვენა, კმაყოფილებას ვერ ფარავდა ამ ამბით.

ნინო გურიელის კლასი ცნობილია, მაგრამ, როცა ნაკრებში არიან ჩიბურდანიძე, იოსელიანი და არახამია, სათადარიგოდ ჩემი მეუღლეც რომ წაიყვანონ, მაინც მოიგებენ ოლიმპიადას.

ხურციძე ძალიან ახალგაზრდაა და როგორც მოჭადრაკე კიდევ გაიზრდება. მას შეუძლია მოხვდეს მომდევნო ოლიმპიადაზე ამიტომ, ჩემი აზრით, ამდენი ნერვიულობა ამის გამო არც ღირდა.

ეს საკითხი რომ მოვიმთავროთ, მინდა ერთიც ვთქვა: ტაქტიკა ისე უნდა აეწყოს, რომ ყველამ, მეტ-ნაკლებად, თანაბარი ოდენობის პარტია ითამაშოს. ლაშამ მხოლოდ სამი პარტია ითამაშა, სხვებმა კი თავი მოიკლეს. ასეც არ შეიძლება.

**— მაინც რა მოხდა ბოლოსკენ? ჩვენმა ქალებმა გამარჯვება რომ გაინაღდეს, გახარება არც კი დასტყობიათ, ისე განიცადეს ვაჟების წარუმატებლობა.**

— მართლაც დაუჯერებელი რამ მოხდა. მიუხედავად მრავალი სიძნელისა, სატურნირო დისტანციაზე საკმაოდ კარგად მივდიოდით: ახალ ზელანდიასთან 4:0, ავსტრალიასთან 2:2 (უძლიერესები ისვენებდნენ და ამიტომ ეს, რა თქმა უნდა, წარუმატებლობა იყო), მაკედონიასთან 2,5:1,5. იმ დროისთვის მე-10 ადგილს ვიყოფდით. აქ მოხდა პირველი დრამატული კურიოზი. გია გიორგაძის მეტოქემ გააკეთა სვლა, რომელიც მუდმივ ქიშს იწვევდა. გიას ეს გამორჩა, მაგრამ მაკედონიელი ვერ ასწრებდა სვლების იმ რაოდენობის გაკეთებას, რომელიც მას ყაიმს მოუტანდა. მსაჯებმა კი მაინც ყაიმი დააფიქსირეს. შემდეგ მთავარი მსაჯის მოადგილემ იური ავერბახმა ბოდიში მოგვიხადა ამ გადაწყვეტილების გამო.

მერე იყო პოლონეთი, ვიგებთ 3:1 და ვიყოფთ მე-3-მე-9 ადგილებს. კუბასთან 2:2 და გადავდივართ მე-6-ზე. ნოგეირასთან შეხვედრაში უარი ვთქვი ყაიმზე და, როგორც გაირკვა, სულ ტყუილად.

მეექვსე ტურში ძალიან ძლიერ ინგლისელებთან 1,5:2,5 წავაგეთ და მე-14 ადგილზე ჩავინაცვლეთ.

არგენტინას ვუგებთ 3:1 და მე-3-მე-8 ადგილებზე ვართ. 2,5:1,5 მოვუგეთ ჩინეთის საკმაოდ პერსპექტიულ გუნდსაც. მე-4-მე-7 ადგილები.

- ●ჯანჯღავა ძლიერი დიდოსტატია, მაგრამ...
- ●არახამია კაპიტან გრანტის მეუღლეა...
- ●ხურციძემ, ნებსით თუ უნებლიეთ, დისონანსი შემოიტანა...
- ●როცა ნაკრებში არიან ჩიბურდანიძე, იოსელიანი და არახამია, სათადარიგოდ ჩემი მეუღლეც რომ წაიყვანონ, მაინც მოიგებენ...
- ●იური ავერბახმა ბოდიში მოგვიხადა...
- ●იუდით პოლგარი ნაწყენი დამრჩა...
- ●გია გიორგაძემ მართლაც ბრწყინვალედ ითამაშა...
- ●შევარდნაძემ მიგვიღო და ჯილდოსაც შეგვპირდა...
- ●10 000-10 000 დოლარი ქალებს...
- ●პოლიტიკურ ვითარებას ერევანში მოჭადრაკეებზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია....

მე-9 ტური. ფრე ესპანეთთან 2:2, ვიყოფთ მე-11 ადგილს.

მე-10 ტური. გამარჯვება ისლანდიასთან 2,5:1,5, ვიყოფთ მე-7-მე-11 ადგილებს.

მე-11 ტური. 2:2 სომხებთან და მე-9-მე-14 ადგილები.

მე-12 ტური. ჩემი მეტოქეა იუდით პოლგარი, ჩემი ყოფილი მოწაფე. არა მგონია, მომავალშიც ვიყო მისი მწვრთნელი. თუმცა მას შეუძლია შემომთავაზოს ახალი პირობები.

ნამდვილი ბრძოლა იყო, არანაირი წინასწარი მოლაპარაკება. 23-ე სვლის შემდეგ მან ყაიმი შემომთავაზა ინგლისურად. ამ მომენტისთვის შავი ფიგურებით ინიციატივა მოვიპოვე და რუსულად (ამ ენაზე ვლაპარაკობდით ხოლმე საერთოდ) ვუთხარი, თამაშის გაგრძელება მინდა-მეთქი. იუდითმა საუცხოო სვლები გააკეთა, ენდშპილი გადაარჩინა და... ნაწყენიც დამრჩა. მითხრა, ყაიმს რომ გთავაზობდით, არც მაშინ მქონდა ცუდი პოზიციაო. ვუპასუხე, ასე რომ ყოფილიყო, პაიკს არ დაკარგავდი-მეთქი. რას იზამ, ყველას თავისი ამბიციები აქვს.

ბოლოს კი, ტრაგიკული მე-13 ტური, შეხვედრა უზბეკეთთან. კლასით კი ჩვენ ვჯობივართ, მაგრამ უზბეკეთის გუნდი ერთობ შეუპოვარია, 1992 წელს სენსაციაც მოახდინეს. მატჩამდე რომ ვინმეს ეთქვა, 3:1 მოიგებთო, სიამოვნებით დავთანხმდებოდი. მაშ, რატომღა გახდა ეს თითქოს კარგი შედეგი ტრაგიკული?

ორნახევარ საათში 2:0 დავწინაურდით. ზაიჩიკს უკეთესი ენდშპილი და განაღდებული ყაიმი ჰქონდა. როცა ვნახე რომ სტურუას მხარეზე აშკარა უპირატესობა იყო, ჩვენს კაპიტანს დავით გურგენიძეს ვუთხარი, სჯობს, ზაიჩიკი ყაიმზე დაყაბულდესმეთქი. კიდევ კარგი, ასე არ მოხდა და ზაიჩიკმა მოიგო, სტურუამ კი... წაგება მოაზერხა.

ეს პარტია რომ მოგვეგო, ვეთამაშებოდით რუსეთს, რომელსაც ჩემპიონის ტიტული განაღდებული ჰქონდა, ამიტომ, დარწმუნებული ვარ, უძლიერეს შემადგენლობას არ გამოიყვანდა. ასე რომ, უეჭველი ბრინჯაო დავკარგეთ, სტურუამ კი ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი პარტია წააგო: მეტოქის მეფე რომ დაეშამათებინა, რისთვისაც მან ყველაფერი იღონა, ეს იქნებოდა წლის ულამაზესი პარტია.

იმ ღამეს ზურაბი დასაძინებელი აბებს ილებდა და დილით გვითხრა, ვერ ვითამაშებო. სიმართლე რომ ვთქვათ, ამერიკელებთან ჩვეული ძალით ველარც ვითამაშეთ — იმდენად ძლიერი იყო წინადღით გადატანილი ტრანსი. ამას დაერთო ისიც, რომ დე ფირმიანთან, ჩემთვის მუდამ უხერხულ მეტოქესთან შავებით თამაშმა მომიწია. თეთრებით არ წავაგებდი. მოკლედ, ამერიკელებთან 1,5:2,5 წავაგეთ და მე-8 ადგილზე გავედით. მე ორი პარტია წავაგე (მანამდე მთელს სეზონში არცერთი წამიგია), მაგრამ საერთო შედეგი მქონდა „პლუს ორი", რაც თავისთავად ცუდი არ არის, მაგრამ არა ჩემთვის.

გია გიორგაძე კი მართლაც ბრწყინვალედ გამოვიდა.

ახლახან მიგვიღო ედუარდ შევარდნაძემ, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა არა მარტო ქალების, არამედ ჩვენს გამოსვლასაც. ჩვენ შემთხვევით დავკარგეთ ქულები, მაგრამ არცერთ პაიკს არ ვთმობდით უბრძოლველად. პრეზიდენტმა თქვა, რომ მატერიალურად მაინც წაგვახალისებენ, ამას თვითონ მიხედავს. ეს, რა თქმა უნდა, ბრძნული გადაწყვეტილებაა. გუნდს კარგი სტიმული მიეცემა სამომავლოდ. ალარავინ მოგვცემს პრემიას მომდევნო ოლიმპიადაზე მერვე ადგილის დაკავებისთვის, მაგრამ ის კი გვეცოდინება, რომ ჩვენს პროგრესს ღირსეულად დააფასებენ. გუნდი ბოლომდე, ღირსეულად იბრძოდა, მაგრამ ყველაზე მეტად ჯილდოს იმსახურებდა გია გიორგაძე, რომლის რეიტინგი უკვე ელიტარული გახდა — 2 620 ქულამდე.

რაც შეეხება ქალებს, მათ, როგორც ვიცი, გამარჯვებისთვის 10 000-10 000 დოლარი გადაეცემათ თითოეულს.

**— როგორი იყო ოლიმპიადის ორგანიზაცია და იმოქმედა თუ არა მასზე პოლიტიკურმა კრიზისმა სომხეთში?**

— ორგანიზაცია, ჩემთვის მოულოდნელად, ბრწყინვალე იყო. ერთადერთი უხერხულობა იყო ის, რომ სათამაშო ადგილიდან შორს ვცხოვრობდით, თუმცა, იქაც შესანიშნავ პირობებში. ერევნის ყველა სასტუმრო სავსე იყო ოლიმპიადის მონაწილეებით, კვებაზეც და მომსახურებაზეც ცუდს ვერავინ იტყოდა.

არეულობის დროს ჩვენს სასტუმროს შემოერტყნენ ტანკები, ჯავშანტრანსპორტიორები და ჯარისკაცები. მასპინძლებმა უსაფრთხოების სრული გარანტია შეგვიქმნეს. ოლიმპიადის მონაწილის ნიშნით ყველგან გვიშვებდნენ და ყველანაირი შესაძლო უსიამოვნებისგან გვიცავდნენ. სწორად თქვა დახურვაზე გარი კასპაროვმა — პოლიტიკურ ვითარებას ერევანში არავითარი გავლენა არ მოუხდენია მოჭადრაკეებზე.

**— სიტყვამ მოიტანა და, კასპაროვთან თქვენი თანამშრომლობის ოლდგენაზე ხომ არ იყო ლაპარაკი. საერთოდაც, როგორ გამოვიდა მსოფლიოს ჩემპიონი ოლიმპიადაზე?**

— თანამშრომლობაზე ლაპარაკი არ ყოფილა, გარი კი ბრწყინვალედ თამაშობდა. არ მეგონა, ასეთ შესანიშნავ ფორმაში თუ იქნებოდა.

საბოლოოდ, ნათქვამი რომ შევაჯამოთ, ასე გამოვიდა: ჩვენს უკან დარჩა ბულგარეთის ნაკრები ტოპალოვის მეთაურობით (რეიტინგით მე-3 ნაკრები მსოფლიოში), გერმანია (იუსუპოვი, ჰიუბნერი, დაუტოვი, ლობრონი!), ჩინეთი, ისრაელი, უნგრეთი. ეს ხუმრობა არ არის. ესტონეთი, რომლის შემადგენლობაში ცნობილი დიდოსტატები ელვესტი და ოლლი გამოდიოდნენ, 49-ზე გავიდა. ასე რომ, ოპტიმიზმის საფუძველი არსებობს.

**ვლადიმერ სარიშვილი**

---

გოგი ახვლედიანის

## სვეტი

### ოპოშნიანის ნაცვლად — ოლაჯუვონი!

მესამე კვირაა სპორტის სასახლეში საუცხოო კალათბურთი იმართება. ამის გამო ერთ წინა „სარბიელშიც" ვწერდი, მაგრამ ახლა სხვა რამის გამო მინდა შეგეხმიანოთ.

ზანგი რომ გამოჩნდება-მეთქი კალათბურთის მოედანზე, სულაც თამაშის უცოდინარი, კაცს მაინც ეჭვი და რიდი შეგიპყრობს კაცს და რა ომიც არ უნდა გქონდეს გადასახდელი, იფიქრებ, ეს ზანგი უეჭველად გამიჭირებს საქმესო.

დიახაც, ასეა.

ჩვენი ვითა საუცხოოდ იბრძვის და ცდილობს ევროპულ არენაზე შედგას ფეხი. ამ საშემოდგომო ტურნირში ვითას ვერ დავემდურებით, რადგან კლუბი სავსებით ამართლებს რეკლამასაც, ბილეთების ფასსაც და სანახაობას მოწყურებული მაყურებლის სურვილსაც.

მაგრამ რა? ათასწლოვანი ანდაზა იტყვის, ძალა აღმართს ხნავსო. ახლა, ჩვენს თვალწინ იქმნება ახალი ქართული კალათბურთი და გინდა თუ არა, მის შექმნაში უცხოელებსაც მოუწევთ ჩართვა.

რა თქმა უნდა, ძნელია იტალიელებს, ესპანელებს, ბერძნებს და სამხრეთის სლავებს აჯობო ამ ტურნირში. ძნელია თამაში ბალტიისპირელებთან და რუსებთან, მაგრამ ჩვენმა გუნდებმა ის მაინც უნდა მოახერხონ, რომ სადაოდ არ გაიხადონ საქმე უნგრელებთან, ბულგარელებთან, ფინელებთან და ასეთ ვინმეებთან.

რა ვქნათ? ასეთი დრო მოვიდა — იუგოსლაველებსაც კი ამერიკელები მოჰყავთ და ათამაშებენ. ამ ოხერი თავგადაპარსული ბიჭების გარეშე დღევანდელ საერთაშორისო კალათბურთში ფეხის შედგმა ძალიან ძნელია.

ხომ ხედავთ, ინგლისელებიც კი ბურთებს ტენიან. უბრალო უნგრულ გუნდსაც ორი უბრალოზე უბრალო ამერიკელი ჰყავს. ცსკ-ში მოთამაშე ჯულიუს ნვოსუ დღეს ბოსტონშია, ხვალ კი შეიძლება მადრიდის რეალში აღმოჩნდეს. ასეთი დროა და რა ვქნათ?

განა მე არ ვიცი, რომ ქართული საკალათბურთო კლუბები ხელფასებსაც კი ვერ უხდიან თავის მოთამაშეებს?

მაგრამ ვითა აქაც გამორჩეულია და საგაისოდ, თუკი გუნდს ფინანსური საშუალება ექნება აუცილებლად დასჭირდება ერთი-ორი უცხოელი.

წავიდა ის დრო, როცა ქომაგები სწუხდნენ, მილოვიდოვი, ბარადაჩოვი, მარჩენკო, კარნიშინი, ტიუბინი, კაპუსტინი, რიჟოვი, ოპოშნიანი და როდოხლები რაღა ქართული კალათბურთიაო. ქართული კალათბურთი ეროვნული ნაკრების საქმეა, კლუბი კი იმის კლუბია, რომ თუ ბიჭი გჭირდება, ის ტანზანიიდანაც უნდა მოიყვანო.

ნბა-ს სელექციონერებმა სუდანში იპოვნეს მეჯოგე მანუტე ბოლი, სხვებზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

მაგრამ ამას ფული უნდა. ფული კი ჩვენს სპორტში, ისე რომ გუნდებს თვალში საცემად წაადგეს მაინცდამაინც არ ჩანს.

კიდევ ერთი რამ. ჩვენი ხალათები ისეა ნაკერი, რომ დიდზე ვერ გაგვწვდება და საშუალო გაქანების მოთამაშეთა ყიდვისას, მაინც, ყოველთვის საშუალო ზანგის ყიდვა სჯობს.

შარშან ერთი ქართული გუნდი ბათუმში „გადიოდა შეკრებას" („სბორი" ასე ითქმის, არა?) და იქ ამხანაგურად წაეთამაშა ამერიკული გემის ეკიპაჟის გუნდს. თამაში ჩვენებმა მოიგეს, მაგრამ გვარიანი ოფლი კი დაღვარეს. ჩატენვებსა და ტყორცნებში კი მეზღვაურებს უმარჯვიათ. ლიპიანი კოკი ისე ტენიდა ბურთს კალათში, თვალი ზედ დაგრჩებოდაო, მითხრა ჩვენებურმა მწვრთნელმა.

ეგებ ეს ამბავი დიდად განსაზოგადებელი არც იყოს, მაგრამ იმას კი ადასტურებს კიდევ ერთხელ, რომ ამერიკელები კალათბურთს 4 წლის ასაკიდან სწავლობენ და ისევე აქვთ გამჯდარი ძვალსა და რბილში, როგორც ჩვენ ყანწების ტრიალი.

მე თუ მკითხავთ, ჩვენ მედისონ-ედმონდსონის დარი კალათბურთელებიც ძალიან გამოგვადგება. ამერიკელი, თუნდ ბოგანო ლიგების მოთამაშე, რაღაც განუმეორებელ ხიბლსა და ძალას სძენს თამაშს.

ყოფილი საბჭოელი და ყოფილი სოციალისტური სივრცე სავსეა ოკეანისგაღმელი ზანგებითა და თეთრებით. არა მგონია ეს ბედის საძიებლად მოხეტიალე ბიჭები მილიონებს ილებდნენ. თავად წამიკითხავს ინტერვიუები ზოგიერთ მათგანთან. არც ის მგონია, რომ საჭირო ხალხის მოძიება და დათანხმება გვიჭირდეს.

საგაისოდ მაინც, ჩვენს ლიდერ კლუბებს თითოოროლა მათგანი მაინც დასჭირდებათ.

ასეა, მოდის ლეგიონერების დრო — ჩვენც ხომ მსოფლიოს ნაწილი ვართ.

ჩვენც ხომ იმავე თამაშებს მივსდევთ, რასაც მსოფლიოში მისდევენ.

ოპოშნიანის ნაცვლად, ოლაჯუვონი! აი, ჩემი ოცნება.

# სხვადასხვა

## დუენმა კიდევ მოიგო

ავსტრალიელი მოტოციკლისტი მიკი დუენი 500 კუბური სანტიმეტრის კლასში სეზონის დასრულებამდე ორი ეტაპით ადრე ზედიზედ მესამედ კი გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, მაგრამ მაინც არ დაცხრა და კვირას, რიო-დე-ჟანეიროში (ბრაზილია), ნელსონ პიკეს სახელობის ავტორდომზე წელს ეს უკვე მერვე გრან-პრი მოიგო.

დუენი (ჰონდა) უძლიერესი იყო კვალიფიკაციაშიც. სტარტზე, პირველ რიგში, მის მხარდამხარ დადგომის უფლება ერგოთ ნორიფუმი აბეს (იაპონია, იამაჰა), ჟან-მიშელ ბეილს (საფრანგეთი, იამაჰა) და წინა ეტაპის გამარჯვებულს, ესპანელ კარლოს ჩეკას (ჰონდა).

24-წრიანი რბოლა დრამატული გამოდგა. მე-17 წრემდე დუენი ლიდერობდა, მაგრამ მერე 21 წლის აბემ გაუსწრო. იქვე, ერთი წრით ჩამორჩენილ ტოში არაკაკის რომ არ შეჯახებოდა, მიკის ბალახზე მოუწია გადასვლა. მოცურდა აბეც და წინ ესპანელი ალექს კრივიე (ჰონდა) გაიჭრა.

ფინიშამდე ოთხი წრე რომ რჩებოდა, დუენმა აბეს გაუსწრო, ბოლო წრის სწორ მონაკვეთზე კი გამოცდილების წყალობით ისევ აჯობა მთავარ მეტოქე კრივიეს და საბოლოოდ ნახევარ წამზე ნაკლებით მოუგო.

ჩემპიონატის ბოლო, XV ეტაპი 20 ოქტომბერს გაიმართება.

## შანსი ორივეს მივცეთო

ამ უქმეებზე იაპონიაში, სუძუკაზე ფორმულა-1-ის მსოფლიო პირველობის ბოლო ეტაპი რომაა, მაშინღა გამოვლინდება ჩემპიონი. იგი აუცილებლად „უილიამსელი" იქნება, რაკი ამ გუნდის ერთი პილოტი — ბრიტანელი დეიმონ ჰილი 9 ქულით უსწრებს მეორეს — კანადელ დებიუტანტ ჟაკ ვილნევს.

გუნდს, მართალია, საგაისოდ უკვე დაუთხოვია ჰილი, რადგანაც თურმე ბებერია და პერსპექტივა აღარა აქვს, მაგრამ ბოლო ეტაპის წინ „უილიამსმა" მაინც ვაჟკაცურად გამოაცხადა, რომ იაპონიაში ორივე პილოტს თანაბარ პირობებში აასპარეზებს. საამისოდ სუძუკას ერთბაშად ოთხი ბოლიდით ეწვევა: ორი ძირითადით და ორითაც სათადარიგოთი. სხვაფრივ, გუნდებს ყოველ ეტაპზე სამ-სამი მანქანა ჰყავთ ხოლმე — სათადარიგო მხოლოდ ლიდერისათვის ემეტებათ.

## ხუთი ტანით გაუსწრო

კვირას ევროპის უპრესტიჟულესი დოღი — ტრიუმფალური თაღის პრიზის გათამაშება მოიგო ამერიკულმა წაბლამ, სახელად ელისიომ, ვისი პატრონიცაა ესპანელი მილიონერი ენრიკე სარასოლა, მწვრთნელი ფრანგი ელი ლელუშია, პარიზის მილნახევრიან დოღში კი მასპინძელმა მხედარმა ოლივიე პელიემ აჭენა.

მონაწილეობდა 16 ცხენი. ელისიო თავიდან დაწინაურდა და ფინიშზე ერთბაშად ხუთი ტანით ჩამოიტოვა ინგლისის დესპანი, სახელად პილსუცკი (!?; პილსუცკი „პანურ-მემამულური" პოლონეთის მესვეური იყო) და ოდნავ მეტით — ირლანდიიდან მივლენილი ოსკარ შინდლერი (!!?; მეორე მსოფლიო ომის დროს უამრავი •ებრაელის გადამრჩენი).

ელისიოს გამარჯვების შანსებს ტოტალიზატორები 3:1 აფასებდნენ. მან მოგების საფასურად პატრონს 800 ათასი დოლარი შესძინა.

## კეტბურთი ერის საუნჯეაო

ამერიკელებს კეტბურთის მსოფლიო სერია ელით, ჯერჯერობით კი ორივე „მეიჯორ" ლიგაში — ეროვნულშიცა და ამერიკისაშიც პლეი-ოფები მიმდინარეობს. ჰოდა, „ბოლტიმორ ორიოლზისა" და „კლივლენდ ინდიანზის" მატჩისას პირველის მეორე მებაზემ, გამოჩენილმა რობერტო ალომარმა მსაჯს ჯერ ხელი კრა, მერე კი შეაფურთხა.

ალომარს 5-თამაშიანი დისკვალიფიკაცია დაუდგინეს, მაგრამ რაკი არ იჩივლა, უცნაური კანონების გამო სასჯელი გაისამდე გადაედო. ამან გადარია მსაჯები. მათ გაფიცვა და პლეი-ოფისა და მსოფლიო სერიის ჩაშლა დააპირეს, აქაოდა თუ ასე გაგრძელდა, ჩვენი სპორტი მთლად გათახსირდებაო.

მსაჯებს თავზე ცივი წყალი გადაასხა ფილადელფიის სასამართლომ, რომელმაც მათ გაფიცვა აუკრძალა იმ მოტივით, რომ კეტბურთს ქვეყანაში განსაკუთრებული ადგილი სჭერია, იგი მილიონობით გულშემატკივრის საკუთრება და ერის საუნჯე ყოფილა. სამაგიეროდ, ლიგების კომისარი ბად ზილიგი მსაჯებს შეპირდა, ახლა გვადროვეთ, საგაისოდ კი მოთამაშეთა ქცევის ისეთ ნორმებს შევიმუშავებთ, რომ თქვენი მოწონებულიიო.

„სარბიელში"
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

# რაგბი

# ვაკეში დიდი რაგბის სიო ქრის

საქართველოს XXIX პირველობა

**ექვსეულის მეოთხე ტური**

შაბათი, 5 ოქტომბერი

ქუთაისი

**აია 0:17 ყოჩები**

(0:9). მსაჯი ლევან მგელაძე
ლ და 4ს: ტეფნაძე (!)
ქუთათურთა მწვრთნელმა დუგლას კავთელაშვილმა მსაჯობა კვლავ ფრიადზე შეაფასა და მატჩის ოქმში სტუმრებს მილოცვაც ჩაუწერა!

**გელათი <<< აზოტი**

გელათს დინამოს სტადიონისა ვალი მართებია. ამიტომ სათამაშოდ იქ აღარ შეუშვეს და წაგებაც მიესაჯა.

ვაკე. სინის IX გათამაშება

**გუმარი 17:0 ქორები**

მსაჯი: გოჩა აბაშიძე
გუმარი (მფლობელი): ჯიმშელაძე; ბ. იურინი (ჯანელიძე, 18), ჩიქვინიძე, ბესელია, ბუგიანიშვილი; მაჩიტიძე, მოდებაძე; მთიულიშვილი, ხუციშვილი, ცაბაძე; პარწიკანაშვილი, მჭედლიშვილი; ობოლაძე, კობახიძე, დიდებულიძე. — 2ლ: ბუგიანიშვილი (34), მოდებაძე (72); 2გ: მოდებაძე (35), მაჩიტიძე (73); ს: მოდებაძე (28)
ქორები (მოცილე): წეველიძე (ლაბაძე, 70); ასათიანი (სიხარულიძე, 44), ალანია, ჩხენკელი, ვაშაძე; ჩავლეიშვილი, კვინიხიძე; ცქიტიშვილი (შუბითიძე, 59), ირემაძე, კაცაძე; კახიანი, ხუადე; დგებუაძე, ვართანიანი (ჩადუნელი, 62), გიუნაშვილი (კვანტალიანი, 44)

კვირა, 6 ოქტომბერი

ქუთაისი

**აია 34:7 აზოტი**

(17:0). მსაჯი მგელაძე
აია — 5ლ: ჯ. ტყაბლაძე, ფხაკაძე, ავთ. გიორგაძე, გაბრიჩიძე, ჩუბინიძე; 3გ და ს: ე. ძაგნიძე
აზოტი — ლ და გ: გოგიშვილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გუმარი | 18 | 16 | 0 | 2 | 543:160 | 78-12 | 32 |
| ყოჩები | 18 | 15 | 0 | 3 | 610:130 | 88-10 | 30 |
| ქორები | 18 | 12 | 0 | 6 | 368:164 | 47-13 | 23 |
| აია | 19 | 10 | 0 | 9 | 429:248 | 55-28 | 19 |
| აზოტი | 19 | 6 | 1 | 12 | 165:437 | 19-65 | 12 |
| გელათი | 18 | 6 | 1 | 11 | 238:490 | 19-74 | 12 |

მორიგ, XIX ტურში, ხუთშაბათს, 10 ოქტომბერს ითამაშებენ: ქორები — გელათი და ყოჩები — გუმარი

ძალუმად იგრძნობა საქართველო — რუსეთის მატჩის მოახლოება. მთელ ქართულ სარაგბო თემს პირზე 20 ოქტომბრის დიდი შერკინება აკერია.

შინაური ჩემპიონატის მატჩებსაც მოუმრავლდა მაყურებელი, მაგრამ დახეთ უიღბლობას: ერთი, რომ შაბათს გრილი ქარი ქროდა და ხშირ-ხშირადაც იღრუბლებოდა. მეორეც, მეტოქეებს თამაშის დაწყება ტრადიციული ექვსი საათის ნაცვლად ხუთისთვის დაეთქვათ, ქართული დაუდევრობის გამო კი ქომაგთათვის არ შეეტყობინებინათ. ჰოდა, ამათაც, უკეთეს შემთხვევაში, სინის მორიგი გათამაშების მეორე ნახევარსღა მიუსწრეს, რომელიც საცქერად, პირველისგან განსხვავებით, არაფრად ვარგოდა.

ეგ კიდევ რაა: გახმაურებულ ვაკურ-ომგამოვლილ გუნდებს იმდენად დარია ხელი არხეინობამ, რომ იმდღევანდელმა მასპინძლებმა სტადიონის ხელმძღვანელობას ოთხი საათისთვისღა აცნობეს, თქვენთან მატჩი გვაქვსო. ესენი თითქოს გამოუვალ ცაიტნოტში აღმოჩნდნენ, მაგრამ უკლებლივ ყველა სპორტის ქომაგმა, ბაზის დირექტორმა გივი ჭანტურიძემ სასწრაფოდ იხმო მუშები და მოედანი სარაგბოდ გააწყობინა. რაგბის კავშირსაც რკინიგზელთა მიმართ მადლობის მეტი რა ეთქმის, მაგრამ ერთი პარადოქსი მაინც სათქმელია: თურმე ნუ იტყვით, მორაგბეები ისე გართულან ფეხბურთელებთან სხვადასხვა დონეზე ურთიერთობის გარკვევით, რომ ამ ბატალიებში კიდეც დავიწყებიათ სტადიონისთვის თავიანთი მატჩების ოფიციალური განრიგის წარდგენა. არადა, ეს საბუთი 10 სექტემბერსაა დამტკიცებული და ბეჭედ-დასმული.

გუნდები თითქმის საუკეთესო შემადგენლობით წარუდგნენ მაყურებლებს. „გუმარს" შემატებოდა მერაბ ბესელია, „ქორებს" კი — მიშიკო წეველიძე. სამაგიეროდ, სინის მოცილეებს აკლდნენ დისკვალიფიცირებული ბურჯი კაკო მაჭუტაძე და დაშავებული მესამეხაზელი რეზო ჯაფარაშვილი, რომელიც თანა-მსაჯობდა.

„გუმარის" მწვრთნელმა გურამ მოდებაძემ სინი „სარბიელის" წარმომადგენელს გაუგზავნა, მან კი ჯაფარაშვილის შემწეობით ჯილდოს მოედნის ლობეზე მიუჩინა ადგილი. „ქორები" სერიოზულად ფიქრობდნენ სინის მოგებას. მათმა მწვრთნელმა თემურ ბენდიაშვილმა ენამოსწრებულად იხუმრა, რაც ეგზომ უხდება ხოლმე რაგბსა და კრივს.

მოედანზე ორივე მალე გაჩაღდა. მე-3 წუთზე დერეფნის შემდეგ ლაზათიანი შეხლა-შემოხლა გაიმართა. მორკინალებმა გაარკვიეს ურთიერთობა და ბურთაობას შეუდგნენ — ერთი გუნდის 22-დან მეორის 22-მდე.



ბადრი კეთილაძის ფოტო

სადღაც მე-10 წუთისთვის ცხადი შეიქნა, რომ „გუმარი" უკეთ თამაშობდა. ერთ-ერთი იერიშისას იურინს მხარი ეტკინა, მაგრამ მე-15 წუთზე ჯერ მესამე ხაზის, მერე კი ლევან ცაბაძის სოლური იერიშის შემდეგ „გუმარმა" ლელოს უწია. მწვრთნელის ვაჟმა შოთამ იქ გამართულ ზედახორაში ბურთი თანამედროვე ყაიდაზე შეაყოვნა, მერე კი ნახტომით თავად შევარდა ლელოში, მაგრამ დამიწებისას რომ შებოჭეს, ბურთი გაუვარდა.

შემდეგი სახიფათო მომენტი 24-ე წუთზე შეიქმნა, როცა „ქორმა" კახა ალანიამ გაინავარდა. მისი იერიში დათო ვართანიანმა და გიორგი ასათიანმა გააგრძელეს, მაგრამ ლელომდე 20 მეტრი დააკლდათ. მალე მოდებაძემ მარცხენა ფრთიდან ოსტატურად დაარტყა საჯარიმო 3:0, კიდევ ხუთი წუთის შემდეგ კი „გუმარმა" რაგბში ლიგიდან გადმოღებული იერიში განახორციელა: ხუთმა მოთამაშემ სათითაოდ მანამ ათრია ბურთი, სანამ ძირს დასცემდნენ, თანაგუნდელებმა კი ბურთთან ყოველ ჯერზე მიასწრეს მეტოქეს, რაც კარში დასარტყმელი საჯარიმოთი დაბოლოვდა. თუმც მწვრთნელი მამაშვილს უძახდა, კარში დაარტყიო, შოთამ მაინც გაბედულად გაათამაშა ბურთი და გიო ბუგიანიშვილმა ალამთან გაიტანა ლელო, რომელიც მოდებაძემ ნაპირიდან გარდასახა 10:0.

შესვენებაზე და მერე „ქორებმა" სამი მორკინალი შეცვალეს, რაკი „გუმარმა" მათს შერკინებას რამდენჯერმე გვარიანად უკან დაახევინა. „გუმარს" კარში დარტყმული ორი საჯარიმო გაუცუდდა, „ქორებს" კი ერთის გაფუჭების შემდეგ გოლის გატანა აღარც უცდიათ: ან სალელოე დერეფნის იმედად ბურთს კიდეზე გზავნიდნენ, ანაც დამუშავებული კომბინაციის გათამაშებას ცდილობდნენ. აქედან არაფერი გამოვიდა, თამაშის ბოლოსკენ კი „გუმარმა" კვლავ სხარტანობით აჯობა მეტოქეს: ბესელიამ და მოდებაძემ კიდიდან სწრაფად მოაწოდეს ბურთი, რაც ლელოთი დასრულდა.

„ქორმა" ვართანიანმა მატჩის ბოლოს იხუმრა და ვითომც სინის წაღება დააპირა. ამას საყოველთაო მხიარულება მოჰყვა. ასეთი ოინები სპორტის მოყვარულებს საჩოგბურთო უიმბლდონებიდან ეხსომებათ, სანჩეს-ვიკარიო ფინალისტის მცირე სინს გრაფს დიდში, საჩემპიონოში რომ გაუცვლიდა და მერე აღარ უბრუნებდა.

სინი ბოლოს ისევ „გუმარის" მწვრთნელმა მოიკითხა და ალბათ შინ წაიღო.

**სანუგეშო ხუთეული**

4. X

აგრარული უნივერსიტეტი. ასკ 15 (15) (2ლ: ნამიჩეიშვილი, ლ. მგელაძე; გ: აბუსერიძე; ა: ძამიაშვილი) — დინამო 0
ჩოლოყაშვილის სახ. ლეგიონი. ლელო 41 (7ლ, 3გ) — ყოჩები II 5 (ლ)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ასკ | 4 | 4 | 0 | 0 | 121: 33 | 15- 4 | 8 |
| ლელო | 3 | 2 | 0 | 1 | 62: 29 | 9- 3 | 4 |
| დინამო | 3 | 1 | 1 | 1 | 34: 26 | 4- 3 | 3 |
| უნივერსიტ | 3 | 0 | 1 | 2 | 19: 37 | 1- 3 | 1 |
| ყოჩები II | 3 | 0 | 0 | 3 | 20:131 | 4-13 | 0 |

## პენზა ვერ შეღვდა ძეხვსაო

„სპორტ-ექსპრესის" ცნობით, რუსეთში წინა კვირაში ვადამდე გამოვლენილა ჩემპიონი. სამი ქართველის მყოლ პენზის კლუბს სტუმრად 9:25 წაუგია კრასნოიარსკის მეორე გუნდ „სიბ-წიაუ-მაშთან". ამისი წყალობით ბობოლა „კრასნი იარი" პენზელთათვის მიუწვდომელი გამხდარა.

| სუპერ-ლიგა | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრასნი იარ | 18 | 15 | 1 | 2 | 425:220 | 31 |
| რპ პენზა | 19 | 13 | 1 | 5 | 485:223 | 27 |
| სსა „ვე-ვე-ა" | 20 | 12 | 0 | 8 | 395:298 | 24 |
| სიბ-წიაუ-მაშ (კრ) | 19 | 9 | 1 | 9 | 393:287 | 19 |
| ემპილს (როსტოვ) | 18 | 6 | 1 | 11 | 361:380 | 13 |
| სკა პვო (პეტერბ) | 20 | 0 | 0 | 20 | 156:807 | 0 |

ხუთშაბათსა და პარასკევს მსოფლიოს სარაგბო საბჭოს რომში მესამე საყოველთაო კრება გამართა. ბჭობის შედეგად, ეტყობა, გადაწყდა, რომ კარგი იქნება, თუ რაგბი ოლიმპიადების პროგრამას დაუბრუნდება.

ამის გამო აზრი გამოთქვა რაგბის საერთაშორისო საბჭოს (ირბ) თავმჯდომარემ, უელსელმა ვექილმა ვერნონ პიუმ, სალაღ მოაზროვნე მოღვაწედ რომ იცნობენ. მისი თქმით, 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადაში რაგბის ჩართვა ვეღარ მოესწრება, 2004 წელს კი წინ რა დაგვიდგება, თუ თავად ვისურვებთო.

პიუს აზრით, ოლიმპიადებზე რაგბი წარმოდგენილი უნდა იყოს არა კლასიკური სახით, არამედ შვიდკაცად ანაც ათკაცად. სხვათა შორის, 1998 წლის ბრიტანეთის თანამეგობრობის თამაშებზეც მორაგბეები შვიდკაცას ითამაშებენ. ამ შეჯიბრზე სამხრეთელი ბობოლები ახალგაზრდულ ნაკრებებს მიავლენენ.

აქედან ცხადია, რომ მსოფლიო რაგბის მამათაგან ნაკლებად კონსერვატორებიც კი, რბილად რომ ვთქვათ, ცოტა უცნაური ხალხია. ოლიმპიადისადმი მათი დამოკიდებულება ფიფა-სას წააგავს: ეტყობა, ირბ-იც შიშობს, რომ თამაშებში რაგბის სრულფასოვანი მონაწილეობით მსოფლიო თასი დაკნინდება, რაკი განუმეორებელი ვეღარ იქნება.

რომშივე, შაბათს, ოლიმპიურ სტადიონზე უელსმა 31:22 დაამარცხა იტალია.

# ჩოგბურთი

წინა კვირის ოთხი ტურნირიდან ვერცერთი მოიგო პირველ ნომრად განთესილმა, უიმბლდონის ორივე ჩემპიონს — გერმანელ ქალ შტეფი გრაფსა და ჰოლანდიელ რიხარდ კრაიჩეკს კი მუხლებმა უმტყუნეს და ტურნირებს უდროოდ გამოაკლეს.

# უიმბლდონელებს მუხლები წამოსტკივდათ

გრაფი თითქმის შინ, ლაიფციგში ასპარეზობდა და შაბათს ნახევარფინალში თანამემამულე ანკე ჰუბერს (გერმანია, 4) უნდა შეხვედროდა, მაგრამ წინა დღით მარცხენა მუხლის სახსრის ანთება დაემართა და ვარჯიშიც კი ვერ შეძლო. შტეფის სახელოვან, 14-წლიან პროფესიულ კარიერაში თურმე პირველად დაემართა, რომ განია შეჯიბრს ტრავმის გამო გამოაკლდა.

გრაფი ტრავმამ ისე დააფრთხო, რომ მეორე დღესვე პირად მკურნალთან საკონსულტაციოდ გაფრინდა. ჰუბერმა იუკადრისა მუქთი გამარჯვება და ისიც შენიშნა, გრაფი საუზმობისას თავად შემეხმიანა და ფინალში წარმატება მისურვაო.


ამ კაცმა საზოგადოებას ფინალში დაუმარცხა რჩეული, სიძლიერის განმსაზღვრელ ნუსხაში მასზე 99 საფეხურით მაღლა რომ იდგა
აპ-ის ფოტო

ჰუბერი ლაიფციგის ტურნირის შარშანდელი გამარჯვებულია. მაშინ მის ბოლო მეტოქეს, ბულგარელ მაგი მალეევას კუჭი აეშალა და უთამაშებლად დანებდა. ამჯერად ფინალში ანკეს მეტოქე ხორვატი ივა მაიოლი (3) იყო. ამან პარასკევს, მეოთხედფინალში, სამ თაი-ბრეიქში 6:7, 7:6, 7:6 დაამარცხა ოლიმპიური ჩემპიონი, ზორზოხი ამერიკელი ლინდზი დავენპორტი (5), რომელიც თავიდან დიდ გულზე იყო. ივამ შაბათს, ნახევარფინალში 7:5, 6:4 აჯობა განუთესელ ჩეხ ჰელენა სუკოვას, ვინაც წინა დღით 6:3, 7:6 იმსხვერპლა არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი, 2).

ფინალი ჰუბერმა 5:7, 6:3, 6:1 მოიგო. მეორე ხელში მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი მაიოლი ერთი პირობა 3:0 დაწინაურდა, მაგრამ მერე გერმანელმა იძალა. მაიოლი ატირდა, ანკემ კი კარიერაში მერვე ტიტული მოიხვეჭა.

კრაიჩეკი სინგაპურში თამაშობდა და მეორე ნომრად იყო განთესილი. იგი მეოთხედფინალში შვედ თომას იოჰანსონს ეთამაშებოდა. ანგარიში 7:5, 6:7 (3-7) რომ იყო (პირველად ჰოლანდიელის მონაცემი წერია), უიმბლდონის ჩემპიონს მუხლი ეტკინა და დანებდა. სხვა მეოთხედფინალები ასე დასრულდა: მაიქლ ჩანგი (აშშ, 1) — ხავიერ ფრანა (არგენტინა) 6:4, 6:1; გრეგ რუზეცკი (ბრიტანეთი) — ანდრეი ოლხოვსკი (რუსეთი) 7:6 (7-4), 6:2; ჯონათან სთარქი (აშშ) — მარტინ ზინერი (გერმანია) 7:6 (7-5), 7:6 (7-3).

ჩანგისა და რუზეცკის ნახევარფინალში ზე-ძალისმიერი თამაში გაჩაღდა. კლასიფიკაციის მეორე ნომერმა ჩინელმა ამერიკელმა ბოლოს მაინც სძლია მასზე 13 სანტიმეტრით მაღალ 84-ე ჩოგანს 7:6 (7-5), 6:3. ამავე სტადიაზე სიეთლელმა სთარქმა იოჰანსონს ეისებით 21:6 აჯობა და 3:6, 6:2, 6:4 დაამარცხა.

ჩანგს ძლიერ ეწადა ფინალის მოგება, რადგან მთელი აზიის კერპია და აქამდე სინგაპურის გარდა ყველა იქაურ დიდ ქალაქში გაემარჯვა. ამჯერად მაიქი მე-11 აზიურ ტიტულს უმიზნებდა.

ფინალს 7 500 მაყურებელი დაესწრო. თამაშმა ოდენ 72 წუთს გასტანა. სთარქმა ძლიერი მოწოდებებით დაიბრიყვა ხალხის რჩეული, ორივე ხელში თითო ბრეიქი გააძერხა და 6:4, 6:4 გაიმარჯვა.

ამერიკელმა ბოლო ორი ქულა ეისებით მოიპოვა და ჯილდოდ 55 ათასი დოლარი მიითვალა. ჩანგს მარცხი გულს იმიტომაც დაწყვეტდა, რომ სთარქი მსოფლიოს 101-ე ჩოგანია, პროფ-ტურზე აქამდე ერთადერთი ტიტული მოეპოვებინა — ბოლცანოში (იტალია), 1993 წელს, ჩანგს კი იგი წინა ექვსი შეხვედრიდან ხუთჯერ დაემარცხებინა.

წყვილთა შეჯიბრი მოიგეს ავსტრალიელებმა თოდ ვუდბრიჯმა და მარკ ვუდფორდმა. ამათ ფინალში 7:6 (9-7), 7:6 (7-2) ძლიეს მარტინ დამი (ჩეხეთი) და ოლხოვსკი. „ვუდებად" ცნობილმა სამხრეთელებმა წელს მე-11 შეჯიბრი მოიგეს. მათ უიმბლდონშიც გაიმარჯვეს, ატლანტის ოლიმპიადაზეცა და აშშ-ის ღია პირველობაზეც.

ლიონში (საფრანგეთი), ჭერქვეშა პირველობა მოიგო საფრანგეთის წლევანდელმა ჩემპიონმა, რუსმა ევგენი კაფელნიკოვმა (2). აქ პარასკევის მეოთხედფინალები ასე დასრულდა: კაფელნიკოვი — მაგნუს გუსტაფსონი (შვედეთი) 5:7, 7:5, 6:3; თიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) — კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 7:6, 6:2; თომას ენკვისტი (შვედეთი, 5) — მარსელო რიოსი (ჩილე, 4) 6:3, 2:6, 7:5; არნო ბეჩი (საფრანგეთი) — ლიონელ რუ (საფრანგეთი) 6:3, 6:1. რიოსი ენკვისტს ბოლო ხელს 5:3 უგებდა და მოსაგებად ანბედიდა, მაგრამ მოდუნდა და წააგო, მერე კი გაგულისებულმა თავისსავე ჩანთას წიხლი ჰკრა.

ნახევარფინალში კაფელნიკოვმა ჰენმანს სამაგიერო გადაუხადა უიმბლდონის პირველსავე წრეში გაგდებისათვის და 48 წუთში გაუსწორდა 6:1, 6:3. წაგებულმა ბრიტანელმა აღიარა, რუსი ისე კარგად თამაშობდა, მოგების შანსი არცა მქონიაო.

ბეჩმა და ენკვისტმა დევისის თასის სანოემბრო ფინალის რეპეტიცია გამართეს. გაიმარჯვა ფრანგმა 4:6, 6:4, 6:0.

ფინალში კაფელნიკოვმა, თუმც თავიდან 3:4 აგებდა, 80 წუთში მაინც 7:5, 6:3 მოუგო ბეჩს, წელს — მეოთხე, სულ კი — მე-11 ტიტული მოიპოვა. გარდა ამისა, სოჭელმა უენიამ ფინალში გამარჯვებით წელს უკვე 67-ე მატჩი მოიგო, რითაც გადაუსწრო ავსტრიელ თომას მუსტერს, ლიონში პირველ ნომრად რომ იყო განთესილი, მაგრამ პირველივე მატჩი წააგო.

მარბეიაში (ესპანეთი) 32 მონაწილიდან 18 ესპანელი იყო, მაგრამ მაინც უცხომ — გერმანელმა მარკ-კევინ გელნერმა გაიმარჯვა. მან, 73-ე ჩოგანმა, ფინალში ორი თაი-ბრეიქით — 7-4 და 7-2 დაამარცხა მასპინძელი ალექს კორეჩა (4).

ვიდრე ფინალს უწევდა, გერმანელმა ზედიზედ გააგდო ოთხი ესპანელი — თომას კარბონელი, ფრანსისკო კლავეტი, ფერნანდო ვისენტე და ფელიქს მანტია (2). მანტიას გელნერმა ნახევარფინალში 9 ეისი ჩაუგდო და 97 წუთში 7:5, 3:6, 6:3 დაამარცხა, კორეჩამ კი 6:4, 6:4 აჯობა გერმანელ ბერნდ კარბახერს.

სთარქისა არ იყოს, გელნერსაც აქამდე ერთადერთი ტურნირი მოეგო — ნიცაში, იმავე 1993 წელს.

მონიკა სელეში ბეჭის დასასვენებლად გამოაკლდა ევროპის ღია პირველობას, იქეთა კვირაში ციურიხში რომ გაიმართება.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მემველია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი
კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29